


მაღალოჩ ღოჩკის

სტამბოლი

გიორგი სორდია

მელხიორ ლორკის სტამბოლი

ავტორი: გიორგი სორდია

ყდის გაფორმებისათვის გამოყენებულია ფრაგმენტი მელხიორ ლორკის სტამბოლის პანორამული ხედიდან. გამოსახულებაზე აღბეჭდილია სულთან ბაიაზიდ II-ის სახელობის მეჩეთი. ქვედა ნაწილში კი ოქროს რქა და მის ერთ-ერთ ნავმისადგომთან დოკირებული გემებია შესამჩნევი.

ყდის დიზაინი და დაკაბადონება: ნიკოლოზ ოსიპოვი



ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი (CSEM) არის დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც სწავლობს ეთნო-პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებს, ეწევა საგანმანათლებლო და საკონსულტაციო საქმიანობას და ხელს უწყობს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

© გიორგი სორდია

© ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი (CSEM), 2025

ყველა უფლება დაცულია

შინაარსი

წინასიტყვაობა 4

თავი I მელხიორ ლორკი და მისი მოგზაურობა ოსმალეთის იმპერიაში 6

თავი II მელხიორ ლორკის „თურქული პუბლიკაცია“ და სხვა ნამუშევრები 8

თავი III მელხიორ ლორკის სტამბოლის პანორამული ხედი 22

თავი IV სტამბოლი: მე-16 საუკუნის მეგაპოლისი 44

ბიბლიოგრაფია 51

წინასიტყვაობა

სტამბოლი მდიდარი ისტორიითა და კულტურული მრავალფეროვნებით გამორჩეული ქალაქია. დაარსების დღიდან, იქნებოდა ეს ანტიკური ბიზანტიონი, შუა საუკუნეების კონსტანტინოპოლი თუ ოსმალური პერიოდის სტამბოლი, ის მსოფლიო პოლიტიკური თუ კულტურული პროცესების ეპიცენტრში იმყოფებოდა, რაც განაპირობებდა კიდეც მის მიმართ წყვეტ და მზარდ ინტერესს უცხოელი მოგზაურების, დიპლომატების, ვაჭრების თუ სხვათა მხრიდან. შეიძლება ითქვს, რომ ქალაქის ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპების რეკონსტრუირება, მნიშვნელოვანწილად სწორედ მათი ჩანაწერებისა და აღწერების მეშვეობით არის შესაძლებელი. წინამდებარე სტატიაში სწორედ ერთ-ერთი ასეთი მოღვაწის სტამბოლში ვიზიტია განხილული. კერძოდ, საქმე ეხება დანიელ მხატვარს, არქიტექტორს, კარტოგრაფსა და დიპლომატს, მელხიორ ლორკს, რომელმაც 1555-1559 წლებში, ოსმალეთის იმპერიაში სულთან სულეიმან I-ის მმართველობის დროს, დაახლოებით ოთხი წელი დაჰყო სტამბოლში.

მელხიორ ლორკი აღორძინების ეპოქის ევროპული მხატვრობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლება. ოსმალეთის იმპერიაში კი მისი გამგზავრება დაკავშირებულია ხანგრძლივ საზავო მოლაპარაკებებთან საღვთო რომის იმერიასა და სულთნის ხელისუფლებას შორის. მელხიორ ლორკი იმ დიპლომატიური მისიის წევრი გახლდათ, რომელსაც ევროპელთათვის სასურველი გარიგების მიღწევა ევალებოდა უნგრეთისა და ტრანსილვანიის ტერიტორიებთან დაკავშირებით. ჰაბსბურგთა მონარქის, კარლოს V-ის დავალებით მისიას ცნობილი დიპლომატი, გისელინ ოგიერ დე ბუსბექი ხელმძღვანელობდა. მელხიორ ლორკის ძირითად მოვალეობას კი წარმოადგენდა ოსმალეთის შესახებ ყოვლისმომცველი ინფორმაციის მოგროვება, რაც ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილებდა ევროპული პოლიტიკური და საზოგადოებრივი წრეების მზარდ ინტერესს აღმოსავლეთის საზღვრებთან გაბატონებული თურქთა იმპერიასთან დაკავშირებით.

ოსმალეთის იმპერიის შესახებ მელხიორ ლორკის ჩანაწერების დიდ ნაწილს ჩვენამდე არ მოუღწევია, თუმცა შემორჩენილია მის მიერ შესრულებული მხატვრობის უნიკალური ნიმუშები, რომლებიც სტამბოლის ისტორიის მკვლევართათვის უნიკალურ პირველწყაროს წარმოადგენს. სტამბოლთან დაკავშირებით ლორკის შემოქმედება მრავალმხრივია, ის მოიცავს 128 გრავიურისაგან შემდგარ კრებულს, პირობითი სახელწოდებით „თურქული პუბლიკაცია“, 5 დამატებით გრავიურას, ფანქრითა და მელნით შესრულებულ 42 ნახატს და, რაც მთავარია, გიგანტური ზომის, 12 მეტრამდე სიგრძის, ფანქრით, მელნითა და აკვარელით შესრულებულ სტამბოლის პანორამულ ხედს.

წინამდებარე სტატიაში მელხიორ ლორკის თვალით დანახული სტამბოლია განხილული. ნაშრომი ასევე მიზნად ისახავს XVI საუკუნის სტამბოლის ქალაქური ცხოვრებისა და ურბანული განვითარების თავისებურებების წარმოჩენას. სტრუქტურულად სტატია შედგება ოთხი თავისაგან, რომლებშიც მელხიორ ლორკის ბიოგრაფიისა და სტამბოლთან დაკავშირებული მისი შემოქმედების სხვადასხვა ასპექტებია განხილული.

პირველი თავი მთლიანად მელხიორ ლორკის ბიოგრაფიას ეძღვნება. მასში ასევე განხილულია მხატვრის ოსმალეთის იმპერიაში გამგზავრების მიზეზები და სტამბოლში მისი ცხოვრებისა და საქმიანობის თავისებურებები. მეორე თავში დეტალურად არის აღწერილი მელხიორ ლორკის თურქული გრავიურების კრებული და სხვა გრაფიკული გამოსახულებები. შინაარსობრივი თვალსაზრისით ეს გამოსახულებები ძირითადად მოიცავს სტამბოლის ხუროთმოძღვრების ძეგლებს, ქუჩის ხედებს, ეთნოგრაფიულ ტიპაჟებს, კოსტუმებისა და ჩაცმულობის ნიმუშებს, ისტორიული პიროვნებების პორტრეტებს და სხვა. ამ თავის საილუსტრაციოდ კი სტატიაში გამოყენებულია ოთხი გრავიურა და სამი ფანქრითა და მელნით შესრულებული გამოსახულება. მესამე თავი მელხიორ ლორკის თურქული შემოქმედების შედევრს, სტამბოლის პანორამულ ხედს ეძღვნება. ეს გამოსახულება, მისი გიგანტური ზომებიდან გამომდინარე, საოცარი დეტალიზაციით

გამოირჩევა, მასზე აღბეჭდილია როგორც ბიზანტიური, ასევე ოსმალური პერიოდის სტამბოლის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ნაგებობა და მონუმენტი, ასევე ქალაქის ცალკეული საცხოვრებელი უბნები და ხედები. ამ თავის ილუსტრირებისათვის შერჩეული გვაქვს ცამეტი სხვადასხვა ფრაგმენტი სტამბოლის პანორამული ხედიდან. მეოთხე თავში განხილულია სტამბოლის, როგორც იმპერიული დედაქალაქის ჩამოყალიბების ეტაპები, მისი მოსახლეობის სტრუქტურა, ეთნიკური შემადგენლობა, ურბანული განვითარების თავისებურებანი. ამ თავში ასევე ყურადღება მახვილდება ქალაქის მართვის ოსმალური მოდელის სპეციფიკასა და იმ მნიშვნელოვან ცვლილებებზე, რაც ქალაქმა განიცადა ბიზანტიურიდან ოსმალურ მმართველობაზე გადასვლის შემდეგ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მელხიორ ლორკის შემოქმედება XVI საუკუნის სტამბოლის საუკეთესო გრაფიკულ აღწერილობას წარმოადგენს. მათზე დაყრდნობით მაქსიმალური სიზუსტით შეიძლება სტამბოლის საქალაქო ცხოვრების, ზოგადი ვიზუალური მხარისა და მულტიკულტურული ხასიათის გაცოცხლება. ლორკის თურქულ გრავიურებს შორის, ქართველი მკითხველისათვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება სულთნის სამსახურში მყოფი ქართველი მეომრის გამოსახულება, რომელსაც ჯერ კიდევ 1975 წელს ყურადღება მიაქცია და მცირე სტატია მიუძღვნა ქართველმა მკვლევარმა, შოთა რევიშვილმა. ცხადია, რომ ეს გამოსახულება წინამდებარე პუბლიკაციაშიც არის განხილული, კერძოდ მის მეორე თავში.

მიუხედავად იმისა, რომ მელხიო ლორკი ევროპული მხატვრობისა და ხელოვნების მნიშვნელოვანი წარმომადგენელია, ის მაინც ნაკლებად ცნობილ მხატვრად ითვლება. საყოველთაო აღიარება მან საკმაოდ გვიან მოიპოვა, მცირე იყო მისი შემოქმედების ამსახველი კვლევებისა და პუბლიკაციების რაოდენობა. პირველი ყოვლისმომცველი მონოგრაფია და მელხიორ ლორკის შემოქმედების შესახებ, მხოლოდ ჩვენს დროში, 2009 წელს გამოიცა, კოპენჰაგენის სამეფო ბიბლიოთეკის მიერ. ეს გახლავთ კოპენჰაგენის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის პრინტისა და გრავიურების დეპარტამენტის ყოფილი მცველის, ერიკ ფიშერის ავტორობით შედგენილი ვრცელი ოთხტომეული. მელხიორ ლორკის ნამუშევრების დიდი ნაწილი სწორედ აღნიშნულ მუზეუმში ინახება, ერიკ ფიშერი კი მათ საუკეთესო მცოდნედ ითვლება. ფიშერთან ერთად ამ ფუნდამენტური ნაშრომის თანაავტორები არიან დანიელი ხელოვნების ისტორიკოსები მიქაელ რასმუსენი, ერნესტ ბენკარდი და მარკო იულიანო. წინამდებარე სტატიაში მელხიორ ლორკის ბიოგრაფიული დეტალებისა და შემოქმედების განხილვისას ძირითადად სწორედ ამ ხუთტომეულით ვხელმძღვანელობდით, თუმცა ნაშრომში ასევე გათვალისწინებულია მელხიორ ლორკთან დაკავშირებული სხვა ცალკეული კვლევებიც, კერძოდ ჩიღდემ კაფეშჩიოღლუს, ნიგელ ვესტბრუკის, კენეტ დარკის, რენე ვან ნიუვენის და ვასილიკი პაპადოპულოს სტატიები. ზოგადად სტამბოლთან და XVI საუკუნის ოსმალეთის იმპერიასთან დაკავშირებით სტატია ეფუძნება მთელ რიგ ავტორიტეტულ ქართველ და უცხოელ ავტორთა ნაშრომებს, რომელთა სრული ჩამონათვალის ნახვა თანდართულ ბიბლიოგრაფიაში არის შესაძლებელი.

იმედი გვაქვს წარმოდგენილი სტატია მნიშვნელოვნად შეავსებს ქართულ საზოგადოებაში სტამბოლთან დაკავშირებით არსებულ ცოდნას და კიდევ უფრო გააღვივებს ინტერესს მსოფლიოს ერთ-ერთი გამორჩეული და მიმზიდველი ქალაქის მიმართ.

თავი I

მელხიორ ლორკი და მისი მოგზაურობა ოსმალეთის იმპერიაში

მელხიორ ლორკი (Melchior Lorck)[1] დაიბადა 1526 წელს ჩრდილოეთ გერმანიის ქალაქ ფლენსბურგში.[2] მხატვრის პროფესიას ის ფლენსბურგშივე დაეუფლა, სადაც მალევე მოიპოვა პერსპექტიული გრავიორის რეპუტაცია. მისი ადრეული ნამუშვრებიდან რამდენიმე ნიმუშია შემორჩენილი, რომელთა შორის გამორჩეულია 1548 წლით დათარიღებული გრავიურა მარტინ ლუთერის გამოსახულებით. ლორკის უნარები შეუმჩნეველი არ დარჩენილა დანიის სამეფო კარისათვის, რომელმაც 1549 წელს გრძელვადიანი სამოგზაურო დაფინანსება (სტიპენდია) გამოყო მისი პროფესიული განვითარებისათვის. იმდროინდელი ფლენსბურგი დანიის სამეფოს ნაწილს წარმოადგენდა და შესაბამისად ლორკი დანიის მეფის ქვეშევდომად ითვლებოდა. ამ დაფინანსებით ლორკი სამხრეთ გერმანიაში, ქალაქ ნიურნერგში გაეგზავრა სადაც მას შესაძლებლობა ჰქონდა, წინა თაობის გერმანული მხატვრობის უდიდესი წარმომადგენლის, ალბრეხტ დიურერის შემოქმედება შეესწავლა. ლორკისათვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა დიურერის შემოქმედების ის ნაწილი, რომელიც გრავიურებს მოიცავდა. დიურერის გავლენამ დიდწილად განაპირობა კიდეც, ის რომ ლორკი მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე უპირატესობას გრავირების მეთოდს ანიჭებდა. აღსანიშნავია, რომ დიურერის მიმართ პატივისცემისა და მადლიერების ნიშნად, მოგვიანებით, ლორკმა მისი ბრწყინვალე გრავიურა შექმნა, რომელიც დიურერის პორტრეტებს შორის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად მიიჩნევა.

დანიური სამეფო სტიპენდიის ფარგლებში ლორკს ასევე შესაძლებლობა ჰქონდა ემოგზაურა რომსა და ცენტრალური ევროპის სხვადასხვა ქალაქში, რომელთაგან განსაკუთრებით გამორჩეულია მისი მუშაობა ბავარიის ქალაქებში, სადაც ის ფუგერების ცნობილი და ძლევამოსილი ოჯახის დაკვეთებსაც ასრულებდა.

ლორკის, როგორც ხელოვანისა და შემოქმედის ბიოგრაფიაში აღსანიშნავია მისი კარტოგრაფიული უნარ-ჩვევებიც, რაც კარგად გამოჩნდა 1567-1572 წლებში, როდესაც ის ქალაქ ჰამბურგში ოფიციალურ კარტოგრაფად მუშაოდა. ამ პერიოდში მის მთავარ კარტოგრაფიულ ქმნილებად მიჩნეულია, მელნითა და აკვარელით შესრულებული მდინარე ელბის გიგანტური ზომის რუკა გესტახტიდან ზღვის შესართავამდე. რუკა თორმეტი მეტრის სიგრძისაა და დღემდე ჰამბურგის სახელმწიფო არქივის ერთ-ერთ გამორჩეულ ექსპონატს წარმოადგენს. ლორკის, როგორც კარტოგრაფის საქმიანობა კიდევ უფრო დაიხვეწა 1570-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ის გარკვეულ პერიოდს ანტვერპენში ატარებს. იმდროინდელი ანტვერპენი ევროპული კარტოგრაფიისა და საგამომცემლო საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ ცენტრს წარმოადგენდა, სადაც ისეთი ცნობილი კარტოგრაფები და გამომცემლები მოღვაწეობდნენ, როგორებიც იყვნენ აბრაჰამ ორტელიუსი, ფილიპ გალი თუ კრისტოფ პლანტინი. სამივე მათგანთან ლორკს მეგობრული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა, რაც უხვად შემორჩენილი მიმოწერებითაც დასტურდება. განსაკუთრებით საგულისხმობა ლორკის ურთიერთობა და თანამშრომლობა აბრაჰამ ორტელიუსთან, რომელიც ნიდერლანდური კარტოგრაფიის ოქროს ხანის ბრწინვალე წარმომადგენლად, ხოლო ანტვერპენში გამოცემული მისი „მსოფლიოს თეატრი“ (Theatrum Orbis Terrarum) კი პირველ თანამედროვე ატლასად მიიჩნევა. ორტელიუსის ეს ნაშრომი მელხიორ ლორკის ანტვერპენში

---

1 გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ასევე მელხიორ ლორიხსი (Melchior Lorichs).

2 მელხიორ ლორკის ბიოგრაფიის შესახებ ყველაზე სრული ცნობები თავმოყრილია კოპენჰაგენის სამეფო ბიბლიოთეკის მიერ, 2009 წელს, გამოცემულ ოთხტომეულში. წარმოდგენილ სტატიაშიც ლორკის ბიოგრაფიული დეტალები სწორედ ამ ფუნდამენტურ ნაშრომს ეყრდნობა. იხ. Erik Fischer, Melchior Lorck. Volume 1. Biography and Primary Sources. Copenhagen, Vandkunsten Publishers, 2009, გვ. 65-141.

ყოფნის დროს გამოიცემოდა. შესაბამისად სავარაუდოა, რომ ორტელიუსი ატლასის იმ რუკების შექმნისას, რომლებიც ოსმალეთის იმპერიას მოიცავს, დაეყრდნობოდა ლორკის მიერ სტამბოლში მოპოვებულ ტოპოგრაფიულ და სხვა სახის მონაცემებს.

მელხიორ ლორკის პროფესიულ ბიოგრაფიაში, განსაკუთრებული ადგილი სწორედ ოსმალეთის იმპერიაში, კერძოდ კი, მისი დედაქალაქში, სტამბოლში გატარებულ პერიოდს უჭირავს. ლორკის გამგზავრება ოსმალეთის იმპერიაში დაკავშირებულია გრძელვადიან დაპირისპირებასთან, რომელიც XVI საუკუნის დასაწყისიდან წარმოიშვა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებსა და ოსმალეთის იმპერიას შორის. სულთან სულეიმან I-ის მმართველობის პირობებში ოსმალეთი წარმატებულ სამხედრო ექსპანსიას ეწეოდა ევროპის მიმართულებით, რამაც ბალკანეთსა და უნგრეთზე მისი სრული დომინაცია გამოიწვია. აღმოსავლეთ ევროპაში ოსმალების უპირატესობა განსაკუთრებით გამოიკვეთა 1526 წლიდან, მას შემდეგ, რაც მოჰაჩის ველზე უნგრეთის მეფე, ლაიოშ II სასტიკად დამარცხდა ოსმალებთან გადამწყვეტ ბრძოლაში. თუმცა უნგრეთის საკითხს ამის შემდეგაც აქტუალობა არ დაუკარგავს, ის მუდმივი დაპირისირების და სასაზღვრო უთანხმეობის მიზეზი ხდებოდა დასავლეთ ევროპის ძლიერ სახელმწიფოებსა და ოსმალეთის იმპერიას შორის. პერიოდულად კი, ეს უთანხმეობა ფართომასშტაბიან ომებშიც გადაიზრდებოდა. ერთ-ერთი ასეთი სასაზღვრო ომი ევროპულ სახელმწიფოთა კოალიციასა და ოსმალეთს შორის 1551 წლიდან განახლდა.[3] ევროპულ კოალიციას ჰაბსბურგთა მონარქია უწევდა კოორდინაციას, რომლის მიზანსაც უნგრეთსა და ტრანსილვანიაში ოსმალებისაგან ტერიტორიული დათმობების მიღწევას წარმოადგენდა. საომარი მოქმედებების პარალელურად, სასურველი შედეგის მიღწევის უზრუნველსაყოფად, ჰაბსბურგებმა, კერძოდ კი, ავსტრიის მეფე ფერდინანდ I-მა, რომელიც მოგვიანებით საღვთო რომის იმპერატორი გახდა, დიპლომატიური მისიის გაგზავნა გადაწვიტა ოსმალეთის იმპერიაში. დიპლომატიური მისია 1555 წელს გაემგზავრა სტამბოლში, რომელსაც გამოცდილი ფლამანდიელი დიპლომატი, ოგიე გისელინ დე ბუსბექი ხელმძღვანელობდა. სწორედ ამ მისიის წევრი გახლდათ მელხიორ ლორკიც. მას ოსმალეთის იმპერიის შესახებ ცნობების შეგროვება და ადგილზე ნანახის მხატვრული თვალსაზრისით დოკუმენტირება ევალებოდა.

მელხიორ ლორკმა სტამბოლში დაახლოებით ოთხი წელი დაჰყო, ბუსბექის დიპლომატიური მისია კი, კიდევ უფრო დიდ ხანს, ჰაბსბურგებსა და ოსმალებს შორის, 1562 წლის სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებამდე გაგრძელდა. ბუსბექის დიპლომატიური საქმიანობა სტამბოლში წარმატებულად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან მიღწეული შეთანხმებით ოსმალებმა კვლავ დაიმტკიცეს უფლებები უნგრეთისა და ტრანსილვანიის სადავო ტერიტორიებზე. მოგვიანებით, 1580-იან წლებში, ბუსბექმა გამოაქვეყნა ვრცელი ნაშრომი „თურქული წერილები“ (Turcicae epistolae), რომელშიც სწორედ ეს დიპლომატიური მოლაპარაკებები და ზოგადად ოსმალეთის იმპერიაში შექმნილი ვითარებაა აღწერილი. ეს ნაშრომი იმდენად პოპულარული გახდა, რომ მალევე ითარგმნა სხვადასხვა ევროპულ ენებზე. ის დღესაც XVI საუკუნის თურქეთის შესწავლისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირველწყაროდ ითვლება.

სტამბოლში ლორკი, ისევე როგორც ბუსბექი, ოსმალების მიერ გამოყოფილ „ელჩი ხანის“ სახელწოდებით ცნობილ, დიპლომატიურ რეზიდენციაში ცხოვრობდა, მისი პირადი უსაფრთხოება დაცული იყო, თუმცა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ლორკი ოსმალეთისათვის მტრულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, მას არ ჰქონია ქალაქში თავისუფლად გადაადგილების ან ქვეყნაში მოგზაურობის შესაძლებლობა. მისი ყოველი გამოსვლა „ელჩი ხანიდან“ სპეციალურ ნებართვას საჭიროებდა, თუმცა ამ შეზღუდვის მიუხედავად, ოთხი წლის განმავლობაში მან მაინც შესძლო ოსმალური საზოგადოების შესწავლა და ქალაქის სათანადოდ დათვალიერება. სავარაუდოდ ოსმალური ხელისუფლების ინტერესებშიც იქნებოდა, რათა ევროპელ მხატვარს იმპერიის ამსახველი სხვადასხვა ჩანახატები

3 ჰაბსბურგებსა და ოსმალეთის იმპერიას შორის 1550-იან წლებში დაპირისპირების შესახებ იხილეთ მიხეილ სვანიძის ნაშრომი „თურქეთის ისტორია“, თბ., 2007, გვ. 112-113.

შეექმნა და ამდაგვარად მომხდარიყო ევროპულ საზოგადოებაში ოსმალეთის პოპულარიზაცია. დიპლომატიური მისიის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე, ლორკი სულთან სულეიმანის წინაშეც წარსდგა. უფრო მეტიც, მას შესაძლებლობა მიეცა ენახა და გაცნობოდა სამეფო ოჯახის წევრებს, მათ შორის ქალებს და სასახლეში დასაქმებულ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს. აღსანიშნავია, რომ ევროპაში დაბრუნების შემდეგ, ანტვერპენში ყოფნის დროს, 1574 წელს ლორკმა მცირე წიგნი გამოსცა გერმანულ ენაზე სულთან სულეიმანის შესახებ, რომელშიც ზოგადად სტამბოლში გატარებული ოთხი წელიც იყო მიმოხილული. წიგნის სათაურია "თურქეთის იმპერატორის, სულთან სულეიმანისა და სპარსელი უფლისწულის, ისმაილის ჭეშმარიტი და ნამდვილი სახე" (Soldan Soleyman Tvrckhischen Khaysers, vnd auch Furst Ismaelis auß Persien, Whare vnd eigendtliche contrafectung vnd bildtnuß). სამწუხაროდ, მელხიორ ლორკის ამ წიგნის ერთადერთი შემორჩენილი ეგზემპლარი 1943 წელს განადგურდა, მოკავშირეების მიერ ჰამბურგის დაბომბვის დროს.[4]

ამ წიგნის მსგავსად, მელხიორ ლორკის მიერ შექმნილი არაერთი გრაფიკული გამოსახულებაც დაკარგულად ითვლება, თუმცა სტამბოლთან და ოსმალეთის იმპერიასთან დაკავშირებული, ჩვენამდე მოღწეული მისი ნამუშვრები ფასდაუდებელ მემკვიდრეობას წარმოადგენს.

4 Mikael Bøgh Rasmussen, Enemy Enticements: A Habsburg Artist in Suleiman's Capital City. CALIOPLE, Vol. 19, #1, 2014, გვ. 186.

თავი II

მელხიორ ლორკის „თურქული პუბლიკაცია“ და სხვა ნამუშევრები

ევროპაში დაბრუნების შემდეგ მელხიორ ლორკმა ინტენსიურად დაიწყო მუშაობა სტამბოლში მის მიერ შექმნილი ჩანახატებისა და ესკიზების გავრცელებისათვისა და პოპულარიზაციისათვის. მის ამბიციურ გეგმას წარმოადგენდა ვრცელი ბეჭდური წიგნის გამოცემა, რომელიც გაფორმებული იქნებოდა როგორც გრავიურებით, ასევე აღწერილობითი ტექსტებით. ამ წიგნს, მისი ჩანაფიქრით, ევროპული საზოგადოების მზარდი ინტერესი უნდა დაეკმაყოფილებინა ოსმალეთის იმპერიის შესახებ, თუმცა ამ გეგმის განხორციელება, ფინანსური პრობლემების გამო, დროში საკმაოდ გაიწელა. დიდი დრო დასჭირდა ასევე ესკიზების გადატანას ხის საბეჭდ ბლოკებზე. საბოლოო ჯამში, 1580-იანი წლებისათვის დასაბეჭდად გამზადებულ იქნა ლორკის მიერ თურქულ მოტივებზე შექმნილი 128 გამოსახულება. სამწუხაროდ, მელხიორ ლორკი მისი წიგნის ბეჭდური ვერსიის გამოცემას ვერ მოესწრო. ის მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ, 1626 წელს დაიბეჭდა ჰამბურგში, ადგილობრივი გამომცემლის, მიქაელ ჰერინგის მიერ.

ამ წიგნს პირობითად „თურქულ პუბლიკაციას“ უწოდებენ, თუმცა მისი სრული სათაურია: „გამოხაზული და გამოჭრილი გრავიურები, რომლებზეც აღბეჭდილნი არიან ფეხზე მდგომი და ცხენოსანი ფიგურები, მშვენიერი თურქული შენობები და სხვადასხვა რამეები, რომელთა ნახვა შესაძლებელია თურქეთში“ (Wolgerissene und Geschnittene Figuren zu Ross und Fuss sampt schönen Türckischen Gebäwden und allerhand was in der Türckey zu sehen). ის მოიცავს სატიტულე გვერდს (იხ. სურ. 1) და ლორკის მიერ სხვადასხვა წლებში მომზადებულ 128 გრავიურას, ტექსტების გარეშე.[5] წიგნი ხელმეორედაც გამოიცა, 1646 წელს, ამჯერად იმ განსხვავებით, რომ დართული აქვს ინდექსი და გამოსახულებების მოკლე დასახელებები.[6]

ლორკის „თურქულმა პუბლიკაციამ“ მართალია ავტორის თავდაპირველი ამბიციური გეგმა სრულად ვერ დააკმაყოფილა, რადგან ის ტექსტების გარეშე გამოიცა, თუმცა ამის მიუხედავად, წიგნში თავმოყრილმა გრავიურებმა სტამბოლისა და ზოგადად ოსმალეთის იმპერიის გრაფიკული აღწერილობის ერთ-ერთი პირველი და ამავე დროს, უნიკალური პრეცედენტი შექმნა. ლორკის ეს წიგნი, რომელსაც ალბომი უფრო შეიძლება ვუწოდოთ, მნიშვნელოვანი პირველწყაროა დიდების ზენიტში მყოფი ოსმალეთის იმპერიის ცხოვრების ამა თუ იმ ასპექტის შესწავლისათვის. „თურქული პუბლიკაციის“ უნიკალურობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ის ძალზედ იშვიათია. საჯარო ინსტიტუციებს შორის ის გვხვდება კოპენჰაგენის სახელმწიფო მუზეუმში, სადაც „თურქული პუბლიკაციის“ სამი ეგზემპლარი ინახება, თითო-თითო ეგზემპლარი მოეპოვებათ ბრიტანეთის მუზეუმსა და ბრიტანეთის ბიბლიოთეკას, ასევე რუსეთის სახემწიფო ბიბლიოთეკასა და ვატიკანის ბიბლიოთეკას. „თურქული პუბლიკაცია“ იშვიათად გაუტანიათ აუქციონებზეც. ჩვენ ასეთი მხოლოდ ორი

შემთხვევა მოვიძიეთ. 1919 და 2014 წლებში, როდესაც ის კრისტის აუციონზე გაიყიდა. 2014 წლის უკანასკნელ აუქციონზე კი გასაყიდმა ფასმა 182,500 ფუნტი-სტერლინგი შეადგინა.[7]

ლორკის „თურქული პუბლიკაცია“ მრავალფეროვანი გრაფიკული ინფორმაციის შემცველი კრებულია. თითოეულ გამოსახულებაზე ამოტვიფრულია ავტორის მო-

5 ლორკის „თურქული პუბლიკაციის“ ერთ-ერთი საუკეთესოდ შემორჩენილი ნიმუშის ზუსტი ასლი, 128-ვე გრავიურით, 2009 წელს გამოქვეყნდა კოპენჰაგენის სამეფო ბიბლიოთეკის მიერ. იხ. Erik Fischer, Melchior Lorck. Volume 2. The Turkish Publication, 1626 Edition. Copenhagen, Vandkunsten Publishers, 2009.

6 Erik Fischer, Melchior Lorck. Volume 3. Catalogue Raisonne, Part One. Copenhagen, Vandkunsten Publishers, 2009, გვ. 10.

7 ინფორმაცია ამის შესახებ ხელმისაწვდომია კრისტის აუქციონის ოფიციალურ ვებ-გვერდზე https://www.christies.com/en/lot/lot-5791676.

ნოგრამა FML (ფლენსბურგელი მელხიორ ლორკი) და თარიღი, რომელიც ესკიზის ხის საბეჭდ ბლოკზე გადატანის აღმნიშვნელი უნდა იყოს. იქიდან გამომდინარე, რომ საბეჭდი ბლოკების დამზადება დროში საკმაოდ გაიწელა, წიგნში გამოსახულებები სხვათადასვა თარიღით არის მონიშნული. ყველაზე ადრინდელი 1565 წლით არის დათარიღებული, ყველაზე გვიანდელი კი 1585 წლით.

ლორკის „თურქული პუბლიკაციის“ გრავიურებს შორის სჭარბობს სხვადასხვა პროფესიის თუ წოდების მქონე ადამიანთა გამოსახულებები, რომელთა შორის განსაკუთრებული სიმრავლით წარმოდგენილები არიან ოსმალური სამხედრო შენაერთების მებრძოლები თუ მეთაურები. ოსმალური შეიარაღებული ძალები, მით უმეტეს იმპერიის ძლიერების პიკში, განსაკუთრებული დისციპლინით, ორგანიზებულობითა და ბრძოლისუნარიანობით გამოირჩეოდა,[8] რაც ადეკვატურად არის კიდეც ასახული ლორკის გრავიურებში. „თურქული პუბლიკაცია“ მოიცავს, როგორც ოსმალური რეგულარული სამხედრო შენაერთების, იანიჩართა კორპუსის წარმომადგენლებს, ასევე, სულთნის ხელისუფლების მიერ სხვადასხვა მიზნებისათვის გამოყენებულ, არარეგულარულ შენაერთთა მებრძოლებსაც, მათ შორის აკინჯიებს, ბაშიბოზუქებს და სხვებს. გრავიურებს შორის თვალში საცემია სხვადასხვა საარმიო შენაერთთა აღჭურვილობა და ჩაცმულობა. ასე მაგალითად, ლორკი ცალ-ცალკე გვთავაზობს მეზარბაზნეთა, მშვილდოსანთა, ქვეითთა, კავალერისტთა და სხვათა რეალისტურ გამოსახულებებს.

ლორკის გრავიურებში, ოსმალური შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა შორის, ქართველი მკითხველისათვის განსაკუთრებულ ინტერესს, რა თქმა უნდა, გამოიწვევს შეიარაღებული ქართველი მებრძოლის გამოსახულება (Ein Georgianer), რომელიც „თურქულ პუბლიკაციაში“ 35-ე ნომრად იკავებს ადგილს. ეს გამოსახულება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ის ევროპულ ბეჭდურ გამოცემებში „ქართველის“ აღბეჭდვის ყველაზე ადრინდელ ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ.[9] ამავე ეპოქაში, კერძოდ 1590 წელს, ვენეციაში გამოიცა იტალიელი მხატვრის, ჩეზარე ვეჩელიოს კოსტუმების ალბომი, რომელიც ასევე მოიცავს ქართველი მებრძოლის გამოსახულებას, თუმცა ის ლორკის ფიგურისგან განსხვავებით შესრულებულია არა ნატურიდან, არამედ ეფუძნება ავტორის წარმოსახვას.[10] ლორკის „ქართველის“ (იხ. სურ. 2) გამოსახულების ტექნიკურ მახასიათებლებს რაც შეეხება, მისი ზომა შეადგენს 14,1 x 20,6 სმ-ს. ის დათარიღებულია 1576 წლით. თარიღი და ავტორის მონოგრამა კი ამოტვიფრულია გამოსახულების ქვედა მარჯვენა კუთხეში. თავად ფიგურა ფეხზე მდგომ მებრძოლს განასახიერებს. ის შემოსილია დიდი ზომის თურბანით, მარცხენა ხელში უჭირავს ფარი, რომელზეც მოგრძო, შეფუთული ნივთია მიმაგრებული. მარჯვენა ხელში კი მას გრძელი შუბი უპყრია. სამწუხაროდ დამატებით ინფორმაციას ამ მებრძოლის შესახებ მხატვარი არ გვთავაზობს, თუმცა მისი ჩაცმულობისა და აღჭურვილობის მიხედვით შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გამოტანა მებრძოლის ჩინის შესახებ. მის აღჭურვილობაში ყურადღებას იქცევს ფარზე მიმაგრებული წაგრძელებული ნივთი, რომელიც მელხიორ ლორკის შემოქმედების მკვლევრის, ერიკ ფიშერის აღწერილობის მიხედვით გახლავთ პლიუმაჟი, შეფუთულ მდგომარეობაში.[11] პლიუმაჟი ფრინველის ბუმბულებისაგან დამზადებული თავსაბურავია, რომელიც მთელ რიგ არმიებში გამოიყენებოდა, როგორც ძალაუფლების სიმბოლური გამოსახულება.

---

8 თურქული, მათ შორის ადრეული ოსმალური პერიოდის, შეიარაღებული ძალების შესახებ იხილეთ ზურაბ ბატიაშვილის ნაშრომი „თურქეთის შეიარაღებული ძალები“, თბ., 2000.

9 ამ გამოსახულებას ჯერ კიდევ 1975 წელს ყურადღება მიაქცია ქართველმა გერმანისტმა და ლიტერატურათმცოდნე, შოთა რევიშვილმა და მცირე სტატია მიუძღვნა მას. იხილეთ „ქართველი მეომრის უძველესი გერმანული სურათი“. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. N3, 1975, გვ. 135-140.

10 ევროპულ ბეჭდურ გამოცემებში ქართველთა გამოსახვის შესახებ იხილეთ ჩვენი სტატია „ქართველთა ჩაცმულობა და ეთნოგრაფიული ტიპაჟები XVI-XIX საუკუნეების ევროპულ ბეჭდურ გამოცემებში“. თბ., 2020.

11 Erik Fischer, Melchior Lorck. Volume 3. Catalogue Raisonne, Part One. Copenhagen, Vandkunsten Publishers, 2009, გვ. 102.

მისი ტარება მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენდა ოსმალურ საზოგადოებაშიც, განსაკუთრებით იანიჩართა და სამხედრო-პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან.[12] ლორკის „ქართველის“ გამოსახულებაზე აღბეჭდილი ეს ნივთი თუ მართლაც პლიუმაჟია, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ის ოსმალურ არმიაში დაწინაურებულ პოზიციაზე მყოფი მებრძოლია. კიდევ ერთი მინიშნება მისი სტატუსის შესახებ შუბს უკავშირდება. იგივე ერიკ ფიშერის აღწერით, ეს შუბი დროშის მისამაგრებლის ფუნქციის მატარებელია. შესაბამისად არ არის გამორიცხული, რომ ეს მებრძოლი „სანჯაყთარი“, ანუ მედროშე, იმპერიული შტანდარტის მტვირთელი იყოს, რაც ოსმალურ არმიაში საპატიო მოვალეობად ითვლებოდა. კიდევ ერთი კითხვა ლორკის ამ გამოსახულებასთან დაკავშირებით შესაძლოა იყოს ის, თუ როგორ აღმოჩნდა ქართველი სტამბოლში, სულთნის შეიარაღებული ძალების რიგებში. საქმე ის არის, რომ მე-16 საუკუნის შუა ხანებისათვის ოსმალებს უკვე დამორჩილებული აქვთ სამხრეთ საქართველოს მთელი რიგი ტერიტორიები, საიდანაც ადვილი შესაძლებელია რომელიმე ადგილობრივი წარჩინებული იმპერიის დედაქალაქში აღმოჩენილიყო. უფრო მეტიც, ამ დროს ქართველები უკვე ოსმალეთის მაღალ სამხედრო-პოლიტიკურ თანამდებობასაც იკავებენ.[13] შეიძლება ითქვას, რომ ლორკის ეს გრავიურა ოსმალეთში დაწინაურებული ქართველების გრაფიკულ დადასტურებას წარმოადგენს.

ოსმალური შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა გარდა, ლორკის „თურქული პუბლიკაცია“ მოიცავს უბრალო მოქალაქეების გამოსახულებებსაც. მათ შორის არიან ქუჩის გამყიდველები, მსახურები, მონები. შეინიშნება ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებაც. ასე მაგალითად, ლორკს წარმოჩენილი აქვს ქალაქურ ცხოვრებაში ჩართულ ბერძენთა, არაბთა, სპარსელთა და თურქმანთა გამოსახულებები. ხშირად მხატვარი, ცალკეული პირების ფონზე გამოსახავს სტამბოლის არქიტექტურულ ნაგებობებსაც. აღსანიშნავია, რომ ლორკის გრავიურები ისტორიულ პირებსაც ასავს. მათ შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ოსმალეთის მმართველი დინასტიის წევრი ქალების პორტრეტები. ასეთი „თურქულ პუბიკაციაში“ სულ ექვსია.

ცხადია, რომ ამ გამოცემაში ლორკის ყურადღების მიღმა არ დარჩებოდა სტამბოლის არქიტექტურული ნაგებობებიც. ამ თვალსაზრისით უპირველეს ყოვლისა უნდა გამოვარჩიოთ მეჩეთები, რომლებიც ლორკის სტამბოლში ყოფნის დროისათვის უკვე ქალაქის ურბანული სახის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ. „თურქულ პუბლიკაციაში“ ცხრა მეჩეთის გრაფიკული გამოსახულებაა შესული, რომელთა შორის თითქმის ფოტოგრაფიული სიზუსტით გადმოცემულია სულთან სულეიმანის სახელობის მეჩეთი, იგივე სულეიმანიეს მეჩეთი. ის სხვა გამოსახულებებისაგან განსხვავდება შედარებით დიდი ზომის ფურცელზეა დაბეჭდილი და სრულად მოიცავს მთელ კომპლექსს. ასევე აბსოლუტური სიზუსტითაა გადმოცემული ატიკ ალი ფაშას მეჩეთი (იხ. სურ. 3), რომელიც ელჩების რეზიდენციის გვერდზე მდებარეობდა და შესაბამისად ლორკს შესაძლებლობა ჰქონდა მას მუდმივად დაკვირვებოდა. ამ მეჩეთის ლორკისეული გამოსახულება, რომელიც ზემოდან ქვემოთ არის ნაჩვენები, გვაფიქრებინებს, რომ მეჩეთს ავტორი ელჩების რეზიდენციის სახურავიდან ხატავდა.

სხვა მეჩეთების გამოსხულებებიც უზადო ტექნიკით არის შესრულებული, თუმცა მათი ზუსტი იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, რადგან სტამბოლში არსებულ მეჩეთებს იდეალიზირებულად და ავტორისეული წარმოსახვით წარმოაჩენენ. მეჩეთების გარდა, ლორკის „თურქული პუბლიკაცია“ ასევე მოიცავს სტამბოლის საცხოვრებელი სახლების, სავაჭრო და სასტუმრო დაწესებულებების (ქარავანსარაი) თუ სხვა საერო დანიშნულების მქონე შენობა-ნაგებობების გამოსახულე-

12 Cihan Cihad, Türklerde Kuş Tüyünün Hâkimiyet ve Rütbe Alameti Olarak Kullanılması. Anadolu Kültürel Araştırmalar Dergisi Yayını, 2018, გვ. 209.

13 თურქეთის ისტორიის მანძილზე სხვადასხვა თანამდებობებზე დაწინაურებული ქართველი მუსლიმების შესახებ იხილეთ მურად ქასაბის „ოსმალეთის ქართველები“. სტამბოლი, 2012.

ბებსაც. გრავიურებს შორის ვხვდებით ყოფა-ცხოვრებასთან და ხელოვნებასთან დაკავშირებულ ნივთებსაც. მაგალითად, სამზარეულო ხელსაწყოების ნაკრებს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს და სხვა. „თურქული პუბლიკაციაში“ შესული გრავიურების აბსოლუტური უმრავლესობა ოსმალური პერიოდის ისლამურ სტამბოლს უკავშირდება, თუმცა ერთ-ერთ გვარიურაზე შარავანდედით შემკობილ ქრისტეს გამოსახულებას ვაწყდებით. შესაძლოა ის სტამბოლში არსებული ერთ-ერთი ბიზანტიური ეკლესიის ფრესკიდან გადმოწერილი გამოსახულება იყოს.

მელხიორ ლორკის „თურქულმა პუბლიკაციამ“ გამოცემისთანავე დიდი რეზონანსი და გამოხმაურება ჰპოვა, როგორც ოსმალეთით დაინტერესებულ საზოგადოებაში, ასევე ხელოვანთა წრეებში. მაგალითად, ცნობილია, რომ „თურქული პუბლიკაციის“ ერთ-ერთ ეგზემპლარს ფლობდა დიდი ნიდერლანდელი მხატვარი, რემბრანდტი, რომელიც ლორკის შემოქმედების დამფასებელი იყო. ლორკის ხელოვნებისა და სტილის გავლენები შეინიშნება ასევე ისეთი ცნობილი ევროპელი მხატვრების და გრაფიკოსების შემოქმედებაში, როგორებიც იყვნენ ნიკოლა პუსენი და სტეფანო დელა ბელა.[14]

როგორც აღვნიშნეთ, ლორკის „თურქული პუბლიკაცია“ 1626 და 1646 წლებში გამოიცა ჰამბურგში, თუმცა მოგვიანებით, 1680-იან წლებში, ლორკის გრავიურები კიდევ რამდენჯერმე იქნა გამოცემული სხვადასხვა პუბლიკაციების საილუსტრაციოდ. ბეჭდვისთვის კი გამოყენებულ იქნა ლორკის გრავიურების ორიგინალი საბეჭდი ხის ბლოკები, რომლებიც კვლავინდებურად ჰამბურგში ინახებოდა და, რომლებიც, როგორც ჩანს, ხელში ჩაუვარდა ადგილობრივ ავტორს, გამომცემელსა და პუბლიცისტს, ებერჰარდ ვერნერ ჰაპელს. 1683-1684 წლებში ის გამოსცემდა პერიოდულ გაზეთს, სახელწოდებით Türckischer Estaats und Krieges-Bericht, რემელშიც განხილული იყო 1683 წლის ვენის ალყა და სამხედრო დაპირისპირების მთელი სერია ევროპელ მოკავშირეებსა და ოსმალებს შორის. სულ გამოცემულ იქნა 137 ნომერი, მელხიორ ლორკის 128-ვე გრავიურის გამოყენებით.[15] 1685 წელს კი, გაზეთის ყველა ნომერი ერთიანი შეკვრით გამოიცა სახელწოდებით Der Türckische Schau-Platz, რომელიც ასევე იმეორებს ლორკის გრავიურების გამოსახულებებს. 1688 წელს ჰამბურგშივე გამოიცა ჰაპელის ვრცელი ისტორიული ნაშრომი სახელწოდებით Thesaurus Exoticorum, რომელშიც ძირითადად აზიის აფრიკისა და ამერიკის ხალხებისა და ქვეყნების ისტორია და თანამედროვეობაა გადმოცემული. ნაშრომის მესამე ნაწილი კი ოსმლეთის იმპერიას შეეხება, რომლის გაფორმებისათვის ასევე მელხიორ ლორკის გრავიურებია გამოყენებული მისი „თურქული პუბლიკაციიდან“. ეს ნაშრომი შეიცავს საყურადღებო ცნობებს საქართველოს შესახებაც.[16]

შეჯამებისათვის შეიძლება ითქვას, რომ ლორკის „თურქული პუბლიკაციის“ გრავიურები, ამა თუ იმ ფორმით, მთელი XVII საუკუნის განმავლობაში ქვეყნდებოდა და ევროპაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდა ოსმალეთის იმპერიის შესწავლისათვის.

აღსანიშნავია, რომ მელხიორ ლორკის თურქულ თემატიკაზე შექმნილი ნამუშევრები მხოლოდ „თურქული პუბლიკაციით“ არ შემოიფარგლება. „თურქული პუბლიკაციის“ გარდა მას ეკუთვნის ცალკეული გრავიურები და მხატვრობის ნიმუშები, რომელთაც ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ მხატვრის შემოქმედებაში. ამ ნამუშევრებს შორის უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იმსახურებს ნატურიდან შესრულებული, სულთან სულეიმანის ორი გამოსახულება. ერთზე თურბანით შემოსილი სულთნის პორტრეტია აღბეჭდილი (იხ. სურ. 4), ქვეშ მიწერილი არაბული და ლათინური დასათაურებით. ლათინური ვერსიის ქართული თარგმანი

14 Mikael Bøgh Rasmussen, Enemy Enticements: A Habsburg Artist in Suleiman’s Capital City. CALIOPLE, Vol. 19, #1, 2014, გვ. 189.

15 Erik Fischer, Melchior Lorck. Volume 3. Catalogue Raisonne, Part One. Copenhagen, Vandkunsten Publishers, 2009, გვ. 11.

16 ჰაპელის ცნობები საქართველოს შესახებ გადმოცემულია შოთა რევიშვილის ნაშრომში „ჰაპელი და საქართველო“. ლიტერატურულ მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „ცისკარი“, N1, 1974, გვ. 143-153.

შემდეგნაირად იკითხება: „აღმოსავლეთში თურქთა იმპერატორის, სულეიმანის გამოსახულება, სელიმის ერთადერთი ვაჟის, რომელიც ტახტზე ავიდა 1520 წელს, დასავლეთის ქრისტიანი იმპერატორის, კარლოს V-ის, იმპერატორ მაქსიმილიანის შვილიშვილის, ტახტზე ასვლის წელს. შესრულებულია უმაღლესი სიზუსტით კონსტანტინოპოლში, 1559 წლის 15 თებერვალს, სიძველეების კარგი მცოდნის, ჰოლშტეინელი მელხიორ ლორკის მიერ, ფლენსბურგიდან“ (Imago Svleymanni tvrcorvm imp.in oriente, vnici Selimy filii, qvi an. Do. MDXX in imperio svccessit: qvo eti= / am anno Carolvs . V . Maxæmyliani cæsaris nepos Aqvisgrani in occidente coronatvs est Christian: imp: a Melchio= / re Lorichs flensbvrgensi, holsatio, antiqvitatis stvdiosisso, Constantinopoli, an. MDLIX, men. Feb., die XV, verissime expressa).[17] ნიშანდობლივია, რომ მხატვარი ამ დასათაურებაში როგორც სულთან სულეიმანს, ასევე კარლოს V-ეს იმპერატორის ტიტულით მოიხსენიებს, რითაც ის ბალანსის დაცვას ცდილობს ევროპაში გაბატონებულ და ერთმანეთთან მძაფრ კონკურენციაში შესულ ამ ორ მონარქს შორის. აღსანიშნავია, რომ ოსმალეთის სულთნები, მეჰმედ II-ის მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, ატარებდნენ ტიტულს „კაიზერი რუმ“ (Kayser-i Rum), ანუ რომის კეისარი, რითაც პრეტენზიას გამოხატავდნენ რომის და ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრეობაზე. სულთან სულეიმანის მეორე გამოსახულებაზე ის უკვე ფეხზე მდგომი, მდიდრულ სამოსში გამოწყობილი, მთელი სხეულით არის აღბეჭდილი. ფონად კი მის მიერ აგებული სულეიმანიეს მეჩეთია გამოსახული.

სულთან სულეიმანის ამ ორი გამოსახულების გარდა, მელხიორ ლორკს, იგივე ესთეტიკით და სტილით, ასევე შესრულებული აქვს სულთან სულეიმანის კარზე დიპლომატიური მისიით მივლენილი, სეფიანთა ირანის შაჰის, თამაზ I-ის ვაჟის, ისმაილის, შემდგომში ირანის შაჰის, ისმაილ II-ის გამოსახულებაც (იხ. სურ. 5). მელხიორ ლორკი 1557 წელს, როგორც ჩანს, პირადად შეხვდა სპარსელ დიპლომატს და ნატურიდან ჩაიხატა მისი პორტრეტი. ესკიზის მიხედვით მოგვიანებით გამოცემულ გრაფიკაზე კი ეს პორტრეტი შემდეგნაირადაა დასათაურებული: „ისმაილი, სპარსეთის მეფის, თამაზის, ელჩი“ (Ismaelis, quem Techmas invictiss: Persarum Rex, oratorem regiis munerius ornatiss).

ბეჭდური გრაფიკის გარდა შემორჩენილია მელხიორ ლორკის მიერ ფანქრით და მელნით შესრულებული მთელი რიგი ნამუშვრები, რომლებიც მის სტამბოლში ყოფნის პერიოდს ასახავს. მაგალითისათვის შეიძლება აღინიშნოს იმპერატორ არკადიუსის სვეტი (იხ. სურ. 6) და იმპერატორ კონსტანტინეს სვეტის კვარცხლბეკი (იხ. სურ. 7), რომლებიც ბარელიეფებითა და სხვადასხვა გამოსახულებებით არის შემკობილი. სვეტების ეს გაფორმება დღემდე მოღწეული არ არის, რაც ლორკის ნახატის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის. ლორკის ნამუშევრებს შორის გამორჩეულ ნიმუშად ითვლება, ელჩების რეზიდენციის სახურავიდან შესრულებული ქალაქის ხედი, სამხრეთისაკენ, მარმარილოს ზღვის მიმართულებით (იხ. სურ. 8). ნახატზე კი ჩანს XVI საუკუნის სტამბოლისათვის დამახასიათებელი ტიპური საცხოვრებელი სახლები და სახურავები.


17 Mikael Bøgh Rasmussen, Enemy Enticements: A Habsburg Artist in Suleiman’s Capital City. CALIOPLE, Vol. 19, #1, 2014, გვ. 175.


Deß Weitberühmbten/ Kunstreichen
vnd Wolerfahrnen Herrn
MELCHIOR Lorichs/
Flensburgensis.
Wolgerissene vnd Geschnittene Figuren / zu Roß vnd Fuß /
sampt schönen Türckischen Gebäwden/ vnd allerhand was in der Türckey
zu sehen. Alles nach dem Leben vnd der perspectivæ Jederman vor
Augen gestellet.
1582
Jetzo aber zum Erstenmahl allen Kunstliebenden Malern /
Formschneidern / Kupfferstechern/ ꝛc. Auch allen Kunst-
verständigen vnd derselben Liebhabern zu Ehren vnd gefal-
len an den Tag gegeben.
Hamburg /
Bey Michael Hering / Im Jahr 1626.

სურ. 1 მელხიორ ლორკის „თურქული პუბლიკაციის“ სატიტულე გვერდი. ჰამბურგი, 1626. © კოპენჰაგენის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი/Copenhagen, Statens Museum for Kunst



სურ. 2 სულთნის სამსახურში მყოფი ქართველი მებრძოლი. გრავიურა ხეზე, 1576. ზომა: 14,1 x 20,6 სმ. შესულია მელხიორ ლორკის „თურქულ პუბლიკაციაში“. ჰამბურგი, 1626. © ბრიტანეთის მუზეუმი/British Museum



სურ. 3 ატიკ ფაშას მეჩეთი (მდებარეობს სტამობოლის ისტორიულ ცენტრში, იმპერატორ კონსტანტინეს სვეტის სიახლოვეს). გრავიურა ხეზე, 1576. ზომა: 18 x 20 სმ. შესულია მელხიორ ლორკის „თურქულ პუბლიკაციაში“. ჰამბურგი, 1626. © ბრიტანეთის მუზეუმი/British Museum



სურ. 4 სულთან სულეიმან I-ის პორტრეტი. გრავიურა ხეზე. ზომა: 28,9 x 40,7 სმ. ანტვერპენი, 1562. © ბრიტანეთის მუზეუმი/British Museum



სურ. 5 სულთნის კარზე დიპლომატიური მისიით მივლენილი სპარსელი ელჩის, უფლისწულ ისმაილის (შემდგომში შაჰი ისმაილ II) პორტრეტი. გრავიურა ხეზე. ზომა: 29,1 x 40,9 სმ. ანტვერპენი, 1562. © ბრიტანეთის მუზეუმი/British Museum



სურ. 6 იმპერატორ არკადიუსის სვეტი (დეტალი). შესრულებულია მელნითა და ფანქრით. ზომა: 21 x 29 სმ. © კოპენჰაგენის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი/ Copenhagen, Statens Museum for Kunst



სურ. 7 იმპერატორ კონსტანტინეს სვეტის კვარცხლბეკი. შესრულებულია მელნითა და ფანქრით. ზომა: 45,5 x 55,5 სმ. © კოპენჰაგენის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი/ Copenhagen, Statens Museum for Kunst



სურ. 8 სტამბოლის ხედი ელჩების რეზიდენციის სახურავიდან (რეზიდენცია მდებარეობდა ატიკ ფაშას მეჩეთის მოპირდაპირე მხარეს, იმპერატორ კონსტანინეს სვეტის უშუალო სიახლოვეს). შესრულებულია მელნითა და ფანქრით. ზომა: 20,8 x 32,6 სმ. © კოპენჰაგენის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი/Copenhagen, Statens Museum for Kunst

თავი III

მელხიორ ლორკის სტამბოლის პანორამული ხედი

მელხიორ ლორკის სტამბოლის პანორამული ხედი უმნიშვნელოვანესი გრაფიკული გამოსახულებაა, რომელიც XVI საუკუნის სტამბოლის საუკეთესო დემონსტრირებას წარმოადგენს, თუმცა სანამ ლორკის ამ უნიკალურ და გიგანტური ზომის ქმნილებას შევეხებით წარმოგიდგენთ XVI საუკუნის ჩათვლით სტამბოლის გრაფიკული გამოსახვის მოკლე მიმოხილვას, რაც ლორკის ნახატის უკეთ აღქმაშიც დაგვეხმარება.

ჩვენამდე მოღწეული სტამბოლის უძველესი გამოსახულება 1422 წლით თარიღდება. ის ეკუთვნის ფრანცისკანელ ბერსა და სწავლულს ქრისტოფორო ბუონდელმონტის, რომელიც 1420-იანი წლების დასაწყისში იმდროინდელ კონსტანტინოპოლს ეწვია. მანვე შეადგინა ქალაქის გეგმა წიგნისათვის Liber Insularum Archipelagi. ეს უნიკალური ხელნაწერი დღეს საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება. ბუონდელმონტის კონსტანტინოპოლის ხედი კი ერთადერთია, რომელიც ოსმალების მიერ ქალაქის აღებამდეა შექმნილი.

ევროპელი ავტორების თუ მხატვრების მხრიდან სტამბოლის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა 1453 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ქალაქი ოსმალთა მფლობელობაში გადავიდა. ამავე პერიოდს ემთხვევა ევროპაში საბეჭდი დანადგარების გამოგონება, რამაც წიგნებისა და სხვადასხვა გამოსახულებების სწრაფი გავრცელების შესაძლებლობა შექმნა. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ XV საუკუნის მეორე ნახევრიდან სტამბოლის ბეჭდური გამოსახულება არაერთი ევროპული გამოცემის ფურცლებზე მოხვდა, რომელთა შორის პირველია 1493 წელს ნიურბერგში გამოცემული „ქრონიკების წიგნი“ (Liber Chronicarum). ეს გახლავთ გერმანელი სწავლულის, ექიმისა და წიგნების კოლექციონერის, ჰარტმან შედელის უმნიშვნელოვანესი ენციკლოპედიური ნაშრომი, რომელსაც გამოცემის ადგილის გამო „ნიურნბერგის ქრონიკებსაც“ უწოდებენ. წიგნი შეიცავს ხეზე გრავირების მეთოდით შექმნილ ათას რვაასზე მეტ გამოსახულებას, რომელთა ნაწილი სწორედ ქალაქებს ეძღვნება (ძირითადად წარმოჩენილია ევროპული და ახლო აღმოსავლეთის ქალაქები). წიგნში სტამბოლის გამოსახულებას რაც შეეხება, ის ორ ადგილას გვხვდება, ერთი შედარებით მცირე ზომისაა და მხოლოდ ერთ ფურცელს იკავებს, მეორე კი ორივე ფურცელზეა განვრცობილი. აღსანიშნავია, რომ ეს პანორამული ხედი სტამბოლის პირველ ბეჭდურ გამოსახულებად არის მიჩნეული.[18]

ადრეული ეპოქის სტამბოლის გამოსახულებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან და რეალისტურ ნიმუშს წარმოადგენს 1520 წელს, ვენეციაში გამოქვეყნებული გეგმა. ის ეკუთვნის იტალიელ კარტოგრაფსა და გამომცემელს, ჯოვანი ანდრეა ვავასორეს. თავის მხრივ ეს გამოსახულება ეფუძნება ცნობილი იტალიელი მხატვრის, ჯოვანი ბელინის მიერ 1480 წელს შექმნილ ნახატს, თუმცა ამ უკანასკნელს ჩვენამდე არ მოუღწევია. ვავასორეს სტამბოლის პანორამული ხედი ქალაქის ამსახველი უმნიშვნელოვანესი გრაფიკული გამოსახულებაა, რომელიც მოგვიანებით არაერთი მსგავსი ხედის შექმნის ინსპირაცია გამხდარა. მათ შორისაა გერმანელი სებასტიან მიუნსტერისა და ნიდერლანდელების, გეორგ ბრაუნისა და ფრანც ჰოგენბერგის ცნობილი გამოსახულებები.

სებასტიან მიუნსტერის სტამბოლის ხედი ადგილს იკავებს მის მონუმენტურ ნაშრომში „კოსმოგრაფია“. ის 1544 წლიდან, დაახლოებით ასი წლის მანძილზე ოცდაოთხჯერ გამოიცა ბაზელში მდებარე პეტრის ცნობილი გამომცემლობის მიერ. გეორგ ბრაუნისა და ფრანც ჰოგენბერგის ხედს კი ვხვდებით ქალაქებისა-

18 Ayşe Yetişkin Kubilay, Batı kaynaklı Haritalardaki İstanbul. Büyük İstanbul Tarihi, Cilt 1. İstanbul'un Emperyal Dönüşümleri, Dünya Ölçeğinde İstanbul, Topografya ve Yerleşme. Editör: Coşkun Yılmaz, İstanbul, 2015, გვ. 523.

დმი მიძღვნილ პირველ გეოგრაფიულ ატლასში სახელწოდებით Civitates Orbis Terraum, რომელიც ბრაუნმა და ჰოგენბერგმა ექვს წიგნად გამოსცეს კიოლნში, 1572-1617 წლებში. ეს ნაშრომი ბეჭდური წიგნის ისტორიაში ერთ-ერთ უნიკალურ გამოცემადაა მიჩნეული, რომელიც მსოფლიოს ქალაქების ამსახველ ხუთასზე მეტ გამოსახულებას მოიცავს.

ვავასორეს, მიუნსტერისა და ბრაუნ-ჰოგენბერგის გამოსახულებებზე სტამბოლი დანახულია უსკუდარიდან (სტამბოლის აზიური ნაწილი). ცენტრალურ ნაწილში ადგილს იკავებს ქალაქის ძირითადი ნაწილი, მას მარცხნიდან მარმარილოს ზღვა ეკვრის, მარჯვნიდან კი ოქროს რქის ყურე. გამოსახულებაზე ასევე აღბეჭდილია ოქროს რქის გადაღმა მდებარე გალათას დასახლება. ბრაუნ-ჰოგენბერგის ვერსიაც ანალოგიურია, თუმცა დეკორატიულად ბევრად უფრო მდიდრულადაა გაფორმებული. მასზე ქვედა ცენტრალურ ადგილას ცხენზე ამხედრებული სულთანი სულეიმანია გამოსახული, ამალასთან ერთან. მის მარჯვნივ და მარცხნივ კი მისი წინამორბედი სულთნების პორტრეტებია აღბეჭდილი.

სამივე აღნიშნულ გამოსახულებაზე ადვილად იდენტიფიცირებადია ისტორიული სტამბოლის მთელი რიგი ნაგებობები, რომელთა ნაწილი ბიზანტიურ, ნაწილი კი ოსმალურ ეპოქას განეკუთვნება, თუმცა ვიზუალური თვალსაზრისით ეს ისტორიული ნაგებობები, სამივე გამოსახულების შემთხვევაში, არარეალისტურად არის წარმოჩენილი, რაც სავარაუდოდ იმაზე მეტყველებს, რომ ისინი შექმნილია არა ნატურიდან, ანუ თვითმხილველების მიერ, არამედ წარმოსახვით. სტამბოლის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი გამოსახულება, რომელიც ქალაქში მელხიორ ლორკის სტუმრობამდე შეიქმნა, გახლავთ ბოსნიური წარმოშობის ცნობილი ოსმალო სწავლულისა და მინიატიურისის, ნასუჰ მატრაქჩის მინიატიურა, რომელიც 1537 წლით თარიღდება.

აღნიშნული გამოსახულებები, მართალია, ფასდაუდებელ მასალას წარმოადგენს XVI საუკუნის ჩათვლით სტამბოლის ვიზუალური მხარის შესწავლისათვის, თუმცა მელხიორ ლორკის პანორამული ხედი პირველია, რომელიც მაქსიმალური სიზუსტით და ღრმა დეტალიზაციით წარმოაჩენს ქალაქის ურბანულ სახეს. გამოსახულებაზე ავტორისეული მინაწერი გვამცნობს, რომ ის შესრულებულია 1559 წელს, თუმცა ლორკის შემოქმედების მკვლევართა უმეტესობის აზრით ნახატი რეალურად შექმნილია, ლორკის ევროპაში დაბრუნების შემდეგ, 1561 წელს.[19]

ქალაქის ადრინდელი გამოსახულებებისაგან განსხვავებით, მელხიორ ლორკის ამ ნამუშევარზე ქალაქი გალათას მხრიდან არის დანახული. ამას გამოსახულებაზე თავად ავტორის შემდეგი მინაწერიც მოწმობს: „გალათა, ანუ პერა, საიდანაც მე, მელხიორ ლორკმა, ქალაქი, უფრო ზუსტად კი მისი დიდი ნაწილი დავხატე“.[20] ამ მინაწერს ლორკის ავტოპორტრეტიც ახლავს. ის გალათას სანაპიროზე ზურგით დგას და ოქროს რქას გადაჰყურებს. იქვე აღმოსავლურ სამოსში გამოწყობილი მამაკაცია აღბეჭდილი, რომელიც ლორკს მელანს აწვდის (იხ. სურ. 9). ლორკის შემოქმედების მკვლევართა აზრით, ეს მამაკაცი გამოჩენილი თურქი არქიტექტორი, მიმარ სინანი უნდა იყოს.

ლორკის მიერ შესრულებული სტამბოლის ამ პანორამული ხედის პირველი მფლობელი ვან დერ დოეს წარჩინებული ნიდერლანური ოჯახი გამხდარა, რომელმაც გამოსახულება 1598 წელს ლეიდენის ახლადგახსნილ უნივერსიტეტს გადასცა შესანახად. პირველ ხანებში, პანორამა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ყოფილა გამოფენილი, თუმცა მოგვიანებით მისი არსებობა დიდი ხნის მანძილზე დავიწყებას მიეცა. მას მხოლოდ XIX საუკუნეში მიაგნეს, რომელიც დახვეულ მდგომარეობაში უნივერსიტეტის ერთ-ერთ სხვენში აღმოჩნდა გადანახული. დიდი ხნის განმავლობაში არასათანადო პირობებში შენახვამ

19 Nigel Westbrook, Kenneth Rainsbury Dark, Rene Van Meeuwen, Constructing Melchior Lorck's Panorama of Constantinople. Journal of the Society of Architectural Historians 69, no. 1 (March 2010), გვ. 64.

20 Erik Fischer, Melchior Lorck. Volume 4. The Constantinople Prospect. Copenhagen, Vandkunsten Publishers, 2009, გვ. 56.

პანორამა ძლიერ დააზიანა, რის გამოც ბიბლიოთეკის მესვეურებმა მიიღეს გადაწყვეტილება გამოსახულების ოცდაერთ ნაწილად დაყოფის შესახებ, რაც ახალ პირობებში შენახვისათვის საუკეთესო გამოსავლად ჩაითვალა. ნაწილების შეერთების შემთხვევაში პანორამის მთლიანი ზომა 11,45 მეტრს აღწევს. სიმაღლე კი 45 სანტიმეტრია. დღეს ოცდაერთივე ფურცელი ლეიდენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სათანადოდ არის დაცული, ბიბლიოთეკის ვებ პლატფორმაზე კი განთავსებულია მთლიანი პანორამის მაღალი გარჩევადობის ციფრული ვერსია.

პანორამას ახლავს ლათინურენოვანი დასათაურება „ბიზანტიონი, იგივე კონსტანტინოპოლი“ (Byzantivm sive Costantineopolis). ანალოგიურად არის დასათაურებული ზემოთნახსენები ვავასორეს სტამბოლის პანორამული ხედი, რაც მიანიშნებს, რომ ლორკისთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა ევროპაში შექმნილი სტამბოლის ადრინდელი გამოსახულებები, თუმცა ვავასორესგან განსხვავებით, ლორკი საკუთარ ნამუშევარს სრულიად განსხვავებული პერსპექტივით ქმნის.[21] ლორკის პანორამაზე, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ქალაქი დანახულია გალათადან, უკიდურეს მარცხენა ნაწილში ვხედავთ ქალაქის აზიური ნაწილის, სკუტარის ფრაგმენტს. ამის შემდეგ სცენები ევროპული ნაწილისაკენ მიუყვება ოქროს რქას. პანორამა უკიდურეს მარჯვენა ნაწილში კი მთავრდება გალავნის მიღმა მდებარე ეიუბის მეჩეთის გამოსახულებით. ნახატი შესრულებულია შავი და ყავისფერი მელნით, ადგილ-ადგილ კი აკვარელით. გამოსახულებაზე უხვად არის ავტორის მინაწერები დანიურ და გერმანულ ენაზე. ისტორიულ შენობა-ნაგებობებს, მათი იდენტიფიკაციის მიზნით, ასევე ახლავს შესაბამისი ვრცელი თუ მოკლე აღწერები. გამოსახულებაზე ვაწყდებით ისეთი მონუმენტების შესახებაც ინფორმაციას, რომლებიც პანორამაზე სრულყოფილად არ ჩანს.

ლორკის სტამბოლის პანორამაზე მრავლად არის გამოსახული როგორც ბიზანტიური, ასევე ოსმალური პერიოდის მონუმენტები და შენობა-ნაგებობები.

სტამბოლის ბიზანტიური მემკვიდრეობის ერთ-ერთ უძველეს ნაგებობას წარმოადგენს, IV საუკუნეში იმპერატორ კონსტანტინეს მმართველობის დროს აგებული, აია ირინეს ეკლესია, რომელიც უძველესია სტამბოლის ბიზანტიურ ეკლესიებს შორის და აია სოფიას აგებამდე საპატრიარქო ტაძრის ფუნქციასაც ასრულებდა. აია ირინეს ეკლესია მელხიორ ლორკის პანორამის მე-5 ფურცელზეა გამოსახული. სამწუხაროდ პანორამის ეს მონაკვეთი მეტისმეტად ფერმკრთალია, თუმცა ამის მიუხედავად, ადვილად იდენტიფიცირებადია ეკლესიის გუმბათი, რომელსაც ახლავს ლორკის მინაწერი, რომელიც გვაუწყებს, რომ ეკლესია არსენალის ფუნქციის მატარებელია. მართლაც, ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ აია ირეინეს ეკლესია იარაღის საწყობად იქნა გადაქცეული. ამ ფუნქციას ის ასრულებდა XIX საუკუნემდე. ამჟამად კი ეკლესიაში მუზეუმი და საკონცერტო დარბაზია განთავსებული.

სტამბოლის ბიზანტიური ეპოქის ნაგებობებს შორის უპირველეს ქმნილებას აია სოფიას ტაძარი წარმოადგენს, რომელიც, რა თქმა უნდა, ლორკის ნახატზეც მოხვდებოდა (იხ. სურ. 10). ის პანორამის მარცხენა ნაწილში, მე-6 ფურცელზეა აღბეჭდილი. მას მელხიორ ლორკის მინაწერიც ახლავს, რომელიც გვამცნობს, რომ ეს ეკლესია ქრისტიანული სამყაროს ყველაზე დიდებული ტაძარია. აია სოფია ბიზანტიური არქიტექტურის შედევრად არის მიჩნეული, ის იმპერატორ იუსტინიანე I-ის დროს, 532-537 წლებში აშენდა და საკათედრო ტაძრის ფუნქციას ასრულებდა 1453 წლამდე, ანუ ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამდე, რის შემდეგაც ტაძარი მეჩეთად გადაკეთდა. მას მალევე მიაშენეს ორი მინარეთი და სხვადასხვა დამხმარე ნაგებობები. მელხიორ ლორკის პანორამაზეც აია სოფია სწორედ ამ ორი მინარეთით არის გამოსახული. დამატებით კიდევ ორი მინარეთი, ცოტა მოგვიანებით, 1570-იან წლებში იქნა აშენებული. რესპუბლიკურ პერიოდში,

21 Çiğdem Kafescioğlu, Melchior Lorck’s Prospect of Constantinople. Facts, Fiction, Interpretation. Editors: Mikael Bøgh Rasmussen and Hanne Kolind Poulsen. Copenhagen: SMK Verlag 2023, გვ. 96.

1935 წლიდან აია სოფია მუზეუმად გადაკეთდა, 2020 წელს კი ის კვლავ მეჩეთად ეკურთხა, თუმცა შენარჩუნებული აქვს მუზეუმის ფუნქციაც.

მელხიორ ლორკის პანორამის მე-7 ფურცელი თითქის მთლიანად განადგურებულია, შესაბამისად შეუძლებელია მასზე გამოსახული ხედების აღდგენა, სავარაუდოდ მასზე ბიზანტიურ პერიოდში აგებული იპოდრომისა და იმპერატორთა სასახლის ნარჩენები უნდა ყოფილიყო გამოსახული. მოგვიანებით ამ ტერიტორიაზე სულთან აჰმედის სახელობის მონუმენტური მეჩეთი აიგო, მის გარშემო მდებარე ტერიტორიას კი სულთან აჰმედის მოედანი ეწოდება. მართლია ლორკის პანორამაზე იპოდრომსა და იმპერატორის სასახლის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, თუმცა მე-6 ფურცელის მარჯვენა ნაწილში, აია სოფიას ტაძრის უშუალო სიახლოვეს ლორკს აღბეჭდილი აქვს იმპერატორის სასახლის კომპლექსის ნაწილი, კერძოდ „ხალკიტეს ქრისტეს“ (Christ Chalkites) ეკლესია, რომელიც მე-10 საუკუნეში იქნა აგებული (იხ. სურ. 11). ეკლესიას ეს სახელი ქრისტეს ხატის გამო ეწოდა, რომელიც გამოფენილი იყო ეკლესიის გვერდზე განთავსებულ „ხალკეს“, იგივე ბრინჯაოს კარიბჭეზე. თავად ეს კარიბჭე კი სასახლის მთავარ საცერემონია შემოსასვლელს წარმოადგენდა. „ხალკიტეს ქრისტეს“ ეკლესია ოსმალურ სტამბოლში ჯერ იარაღის სახელოსნოდ, „ჯებეხანედ“ (Cebehane), მოგვიანებით კი ცხოველთა სამყოფელად, „არსლანხანედ“ (Arslanhane), გადაკეთდა. ამ ფუნქციას ასრულებდა ის ქალაქში ლორკის ყოფნის დროსაც. ნაგებობის ერთ სექციაში კი ოსმალო მინიატიურისტი მხატვრების სახელოსნო, „ნაკაშხანე“ (Nakkaşhane), იყო მოწყობილი. აღსანიშნავია, რომ ჩვენს დრომდე ამ შენობას არ მოუღწევია. მისი სრული დემონტაჟი მე-19 საუკუნის დასაწყისში განხორციელდა.

რომაული ქალაქების მსგავსად ბიზანტიური კონსტანტინოპოლისათვისაც დამახასიათებელი იყო ტრიუმფალური სვეტების აღმართვის ტრადიცია. რამდენიმე მათგანი ოსმალური პერიოდის სტამბოლშიც შემორჩა. მელხიორ ლორკის პანორამული გამოსახულებაზე კი სამი ასეთი სვეტია აღბეჭდილი. კერძოდ, გოთების სვეტი, იმპერატორ კონსტანტინეს სვეტი და იმერატორ არკადიუსის სვეტი. გოთების სვეტი, ადგილს იკავებს გამოსახულების მე-3 ფურცელზე, ის იმპერატორ კონსტანტინეს მიერ გოთების დამარცხების აღსანიშნავად აღიმართა დაახლოებით 331-332 წლებში. კონსტანტინოპოლის მემორიალურ სვეტებს შორის ის ყველაზე კარგად შემორჩენილი ნიმუშია. მდებარეობს ამჟამინდელ გიულხანეს პარკში, თოფქაფის სასახლის კომპლექსის ტერიტორიაზე. კონსტანტინეს სვეტი, რომელიც აღბეჭდილია გამოსახულების მე-8 ფურცელზე, ქალაქის უძველესი მონუმენტია, ის 330 წელს აღიმართა ახალი იმპერიული დედაქალაქის, კონსტანტინოპოლის, დაარსებასთან დაკავშირებით (იხ. სურ. 12). სვეტი ქალაქის შვიდი ბორცვიდან ერთ-ერთზე, კონსტანტინეს ფორუმის შუაგულში მდებარეობდა და შესაბამისად ახალი დედაქალაქის ცენტრად იყო მოაზრებული. კონსტანტინეს სვეტს ოსმალები „ჩემბერლითაშს“ (Çemberlitaş) უწოდებენ, რაც შემოსალტულ ქვას ნიშნავს. ეს სახელწოდება მას შემდეგ გაჩნდა, რაც XVI საუკუნის დასაწყისში ოსმალებმა სვეტის გამაგრებისა და გადარჩენის მიზნით მას რკინის რკალები შემოარტყეს. „ჩემბერლითაში“ კი სვეტის გარდა, გარშემო უბნის აღმნიშვნელიც გახდა. არკადიუსის სვეტს რაც შეეხება, ის ლორკის გამოსახულების მე-12 ფურცელზე იკავებს ადგილს, აგებულია შედარებით მოგვიანებით, V საუკუნის დასაწყისში, იმერატორ არკადიუსის მიერ. მარმარილოსგან გამოთლილი ეს სვეტი განთავსებული იყო არკადიუსის ფორუმის ცენტრში, ტერიტორიულად დღეს ის სტამბოლის ფათიჰის რაიონში მდებარეობს. საუკუნეების მანძილზე სვეტი მნიშვნელოვნად დაზიანდა, რესპუბლიკური პერიოდის სტამბოლში კი, ქალაქის უსისტემო ურბანიზაციის შედეგად, სვეტი სრულად ჩამოიშალა, დღეს კი ადგილზე მხოლოდ სვეტის ფუნდამენტია შემორჩენილი, საცხოვრებელი სახლების გარემოცვაში.

პანორამის მე-11 და მე-12 ფურცელზე ჰორიზონტალურად განფენილია ბიზანტიური პერიოდის სტამბოლის უმნიშვნელოვანესი მონუმენტი, იმპერატორ ფლავიუს ვალენტის აკვედუკი, რომლის მშენებლობა 373 წელს დასრულდა და მრავალი საუკუნის მანძილზე ქალაქის წყლით მომარაგებას უზრუნველყოფდა. ნაგებობამ ფუნქციონირება განაგრძო ოსმალურ პერიოდშიც, ის მოქმედი იყო მელხიორ ლორკის ქალაქში ყოფნის დროსაც (იხ. სურ. 13). გამოსახულების თა-

ვზე ლორკის მინაწერის მიხედვით აკვედუკით წყალი ოსმალების მიერ აშენებულ მეჩეთებს მიეწოდება. ის ასევე დასძენს, რომ სულთანმა სულეიმანმა მიწისქვეშა წყლის მილებიც გაიყვანა, რომლებიც ახლადაშენებული სულეიმანიეს მეჩეთის წყლით უზრუნველყოფისთვის გამოიყენება.[22] დღეის მდგომარეობით შემორჩენილი ნაგებობა სიგრძეში 971 მეტრს აღწევს, მაქსიმალური სიმაღლე კი 29 მეტრია.

ლორკის ნახატზე ბიზანტიურ შენობა-ნაგებობებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ღვისმშობლის სახელობის, იგივე თეოტოკოს პამაკარისტოსის ეკლესიას, რომელიც პანორამის მე-15 ფურცელზეა გამოსახული (იხ. სურ. 14). ეს გამორჩეული ეკლესია XI საუკუნეში იქნა აშენებული, რომელსაც მოგვიანებით, XIV საუკუნის დასაწყისში, დამატებითი სამლოცველო, პარეკლესიონი მიაშენეს. პამაკარისტოსის ეკლესია ბიზანტიური მოზაიკური მხატვრობის ბრწინვალე ნიმუშებს ინახავს, რაც მას უნიკალურს ხდის აია სოფისთან და ხორას მონასტერთან ერთად. აღსანიშნავია ისიც, რომ პამაკარისტოსის ეკლესია ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, 1456 წლიდან 1587 წლამდე, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს რეზიდენციის ფუნქციას ასრულებდა. ის მოქმედი ეკლესია იყო მელხიორ ლორკის სტამბოლში ყოფნის დროსაც, ამას მოწმობს ეკლესიის გამოსახულების თავზე ლორკის შემდეგი მინაწერი „ქრისტიანი ბერძნების და კონსტანტინოპოლის პატრიარქის სასახლე ანუ რეზიდენცია“.[23] პამაკარისტოსის ეკლესია მეჩეთად იქნა გადაკეთებული სულთან მურად III-ის მიერ, 1591 წელს. მეჩეთს კი „ფეთჰიეს“ სახელი (მომდინარეობს სიტყვა „ფათიჰიდან“, რაც დაპყრობას ნიშნავს) უწოდეს სულთნის მიერ აღმოსავლეთ საქართველოსა და აზერბაიჯანის დაპყრობის აღსანიშნავად.[24] ეს ტერიტორიები სულთანმა დაიმტკიცა სეფიანთა ირანთან 1590 წელს გაფორმებული სტამბოლის ხელშეკრულების საფუძველზე.[25] ფეთჰიეს მეჩეთი დღეს მოქმედია, თუმცა კომპლექსის იმ ნაწილში, რომელშიც ბიზანტიური მხატვრობის უნიკალური ნიმუშებია შემორჩენილი, მუზეუმია განთავსებული. პამაკარისტოსის ეკლესიიდან არც თუ დიდ მანძილზე მდებარეობს ბიზანტიური მოზაიკური მხატვრობით გამორჩეული კიდევ ერთი ბრწინვალე კომპლექსი, ხორას ეკლესია, თუმცა მელხიორ ლორკის პანორამულ ხედზე მისი იდენტიფიცირება ვერ მოვახერხეთ. ასევე გაკვირებას იწვევს ის გარემოება, რომ მელხიორ ლორკის პანორამულ ხედზე ასახული არ არის პანტოკრატორის მონასტერი (ამჟამად ზეირექის მეჩეთი), XII საუკუნის ბიზანტიური არქიტექტურის ბრწინვალე ნიმუში. გალათის გადმოსახედიდან მას ლორკი უსათუოდ დაინახავდა, თუმცა უცნობი მიზეზის გამო ეს ეკლესია მხატვრის ყურადღების მიღმა დარჩა.

ბიზანტიური პერიოდის სტამბოლის საერო ნაგებობებს შორის ერთ-ერთ გამორჩეულ ნიმუშს წარმოადგენს ბიზანტიის იმპერატორების სამეფო სასახლე, იგივე პორფიროგენეტის სასახლე, რომელიც ჩვენს დრომდე შედარებით დაუზიანებლად არის შემორჩენილი. ის ქალაქის დასავლეთ ნაწილში, გალავნის სიახლოვეს, მდებარეობდა. ეს ნაგებობაც, რა თქმა უნდა, მელხიორ ლორკის პანორამაზე მოხვდა (იხ. სურ. 15). ის ადგილს იკავებს პანორამის მე-16 ფურცელზე. ეს სასახლე XIII საუკუნეში იქნა აგებული და ოსმალების მიერ ქალაქის აღებამდე იმპერატორთა მთავარ რეზიდენციას წარმოადგენდა. ოსმალები მას „ტექფურის სასახლეს“ (Tekfur Sarayı) უწოდებდნენ, ევროპელები კი „კონსტანტინეს სასახლეს“ (Palatium Constantini). კონსტანტინოპოლის აღების დროს სასახლე ძლიერ დაზიანდა, რა-

22 Erik Fischer, Melchior Lorck. Volume 4. The Constantinople Prospect. Copenhagen, Vandkunsten Publishers, 2009, გვ. 56.

23 Erik Fischer, Melchior Lorck. Volume 4. The Constantinople Prospect. Copenhagen, Vandkunsten Publishers, 2009, გვ. 58.

24 საქართველოს დამარცხების აღსანიშნავად სულთნის მიერ პამაკარისტოსის ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან ჩამორთმევის საკითხს ეხება ქართველი მკვლევრების, თედო დუნდუას და ნინო სილაგაძის ნაშრომი „სომონ მეფე და ღვთისმშობელ-პამაკარისტოსის ტაძარი კონსტანტინოპოლში“, თბ., 2004, გვ. 3-11.

25 ამ ხელშეკრულების პირობების შესახებ უფრო დეტალურად იხილეთ ქართველი თურქოლოგის, მიხეილ სვანიძის ნაშრომი „თურქეთის ისტორია“, თბ., 2007, გვ. 174.

დგან ის ქალაქის გალავანთან ძალზედ ახლოს მდებარეობდა, ამიტომ ოსმალებს ის სასახლის ფუნქციით არ გამოუყენებიათ. ოსმალურ და რესპუბლიკურ პერიოდებში ნაგებობას სხვადასხვა დანიშნულება გააჩნდა. XIX საუკუნეში ის მინის ფაბრიკადაც გამოიყენებოდა. მხოლოდ ჩვენს დროში, 2005-2014 წლებში განხორციელდა ამ ისტორიული ნაგებობის სრული რესტავრაცია, რომელშიც დღეს მუზეუმი და საგამოფენო სივრცეებია შექმნილი.

ბიზანტიურ ეპოქაში შექმნილი კიდევ ერთი საერო დანიშნულების ნაგებობა, რომელიც მელხიორ ლორკის პანორამულ ხედზე გვხვდება, არის „ირინეს კოშკის“ (Eirene Kulesi) სახელწოდებით ცნობილი მონუმენტი (იხ. სურ. 16). ის გამოსახულების მე-9 ფურცლის მარცხენა ნაწილში დომინირებს. ტერიტორიულად კოშკი თანამედროვე ემინონუს რაიონში, დახურული ბაზრის სიახლოვეს, ოქროს რქის სანაპიროდან დაახლოებით ხუთასი მეტრის სიღრმეში მდებარეობს. მისი აგების ზუსტი დრო და დანიშნულება ცნობილი არ არის, თუმცა ვარაუდობენ, რომ მას სათვალთვალო მიზნებისათვის იყენებდნენ. არსებობს დაუდასტურებელი მოსაზრება, რომ გვიანბიზანტიურ პერიოდში, „ირინეს კოშკი“ ცნობილი ბიზანტიელი სახელმწიფო მოღვაწისა და ფლოტის ხელმძღვანელის, ლუკას ნოტარასის სასახლის კომპლექსის ნაწილი იყო. კოშკს კი სახელწოდება ნოტარასის მეუღლის სახელის მიხედვით ეწოდა. კოშკმა სათვალთვალო დანიშნულებით ფუნქციონირება განაგრძო ოსმალურ პერიოდშიც, მოგვიანებით კი, XVII საუკუნეში, ის სულთან მურად IV-ის დედის, ქოსემ სულთნის მიერ დაარსებული სავაჭრო და სასტუმრო კომპლექსის, „ვალიდე ხანის“, ნაწილი გახდა.

ლორკის პანორამაზე, რა თქმა უნდა, ოსმალურ პერიოდში აგებული მონუმენტებისა და შენობა-ნაგებობების რაოდენობის სიჭარბეა. პანორამა შექმნილია კონსტანტინოპოლის აღებიდან დაახლოებით ასი წლის შემდეგ, თუმცა ამ შედარებით მცირე დროის მონაკვეთის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ოსმალების მიერ ქალაქში მნიშვნელოვანი განაშენიანება განხორციელდა. ახალი ნაგებობები მოიცავდა როგორც რელიგიურ, ასევე საერო დანიშნულების ხუროთმოძღვრების ძეგლებს. რელიგიურ ნაგებობებს შორის, პირველი მონუმენტური ქმნილება, რომელიც ქალაქში აშენდა გახლდათ სულთან მეჰმედ II-ის სახელობის მეჩეთი, იგივე ფათიჰის მეჩეთი. ის კონსტანტინოპოლის აღებიდან მალევე, 1463-1470 წლებში აღიმართა, ადგილობრივი ბერძენი არქიტექტორის, ატიკ სინანის (ქრისტოდულოსი) მიერ, რომელიც მეჰმედ II-ის კარის არქიტექტორიც გახლდათ. ფათიჰის მეჩეთი, ისევე როგორც სტამბოლში აგებული არაერთი სხვა მეჩეთი, აია სოფიას არქიტექტურული ტრადიციის ინსპირაციით იქნა შექმნილი. ოსმალური სტამბოლის ეს უმნიშვნელოვანესი ხუროთმოძღვრების ძეგლი, რა თქმა უნდა, მელხიორ ლორკის პანორამულ გამოსახულებაზეც აღბეჭდილია (იხ. სურ. 17). ის ადვილი შესამჩნევია მე-13 ფურცელზე. ფათიჰის მეჩეთის ლორკისეული გამოსახულება საინტერესოა იმ თვალსაზისითაც, რომ ის მეჩეთის პირვანდელ მდგომარეობას გვიჩვენებს. მეჩეთის აშენებიდან მალევე ის მიწისძვრამ მნიშვნელოვნად დააზიანა, მოგვიანებით აღდგენილი ნაგებობა კი ორიგინალი შენობისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. აღსანიშნავია, რომ ფათიჰის მეჩეთის აგებისათვის საჭირო გახდა იგივე ტერიტორიაზე მდგარი წმინდა მოციქულთა ეკლესიის დემონტაჟი. ეს IV საუკუნის ბერძნულ-მართლმადიდებლური ეკლესია, აია სოფიას მეჩეთად გადაქცევის შემდეგ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მთავარი რეზიდენციის ფუნქციას ასრულებდა. თუმცა მისი დემონტაჟის შემდეგ საპატრიარქო სტატუსის მატარებელი, ზემოთნახსენები თეოტოკოს პამაკარისტოსის ეკლესია გახდა. წმინდა მოციქულთა ეკლესია გამორჩეული ძეგლი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ ის კონსტანტონოპოლის დამაარსებლის, იმპერატორ კონსტანტინეს და სხვა არაერთი ბიზანტიელი იმპერატორის განსასვენებელს წარმოადგენდა.

ოსმალური პერიოდის სტამბოლის რელიგიურ ნაგებობს შორის უპირველესია სულთან სულეიმან დიდის სახელობის მეჩეთი, იგივე სულეიმანიეს მეჩეთი, რომელიც 1550-1557 წლებში შენდებოდა სულთან სულეიმანის კარის მთავარი არქიტექტორის, მიმარ სინანის ხელმძღვანელობით (იხ. სურ. 18). სულეიმანიეს მეჩეთი მელხიორ ლორკის პანორამის მე-10 ფურცელზეა გამოსახული და დომინანტური პოზიცია უჭირავს ქალაქის სხვა ნაგებობებთან მიმართებაში, რაც ბუნებრივიცაა,

რადგან ის აგებულ იქნა ოსმალეთის იმპერიის ძლიერების სიმბოლოდ. სულეიმანიეს მეჩეთი ოსმალური არქიტექტურის შედევრადაცაა მიჩნეული და თანამედროვე სტამბოლის ერთ-ერთ მთავარ ღირშესანიშნაობას წარმოადგენს.

სტამბოლის სხვა რელიგიურ ნაგებობეს შორის მელხიორ ლორკის პანორამაზე ასევე ადვილად შესამჩნევია ატიკ ალი ფაშას მეჩეთი, სულთან ბაიაზიდის მეჩეთი, უფლისწულის (შეჰზადეს) მეჩეთი და ეიუბის მეჩეთი.[26]

რელიგიური დანიშნულების ნაგებობების გარდა ოსმალური პერიოდის სტამბოლში მრავლად შენდებოდა საერო, ადმინისტრაციული თუ საფორტიფიკაციო შენობებიც. რომელთა შორისაა სამეფო სასახლეები, სავაჭრო დაწესებულებები თუ ციხე-სიმაგრეები.

მეჰმედ II-მ ქალაქის აღებისთანავე სამეფო სასახლის აგება განიზრახა, რომლის მშენებლობა 1455 წლისათვის უკვე დასრულებლი იყო, თუმცა ეს სასახლე სუთნებმა მალევე დატოვეს. 1470-იანი წლებიდან სულთნის კარი და იმპერიის ადმინისტრაციული მმართველობა უკვე ახალ სასახლეში გადავიდა, რომელსაც მოგვიანებით თოფქაფის სასახლე უწოდეს. ის აია სოფიას სიახლოვეს, ვრცელ ტერიტორიაზე განლაგდა, მისი გაფართოება კი საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა. მელხიორ ლორკის სტამბოლში ყოფნის დროს, იმპერია უკვე ამ სასახლიდან იმართებოდა, შესაბამისად ისიც ვრცელ ადგილს იკავებს პანორამულ გამოსახულებაზე. უფრო კონკრეტულად კი, თოფქაფის ცალკეული ნაგებობები განფენილია ლორკის პანორამის 1-ლ, მე-2, მე-3 და მე-4 ფურცლებზე. ეს სასახლე არ ყოფილა მონოლითური ნაგებობა, ის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პალატებისაგან შედგებოდა. კერძოდ, კომპლექსი მოიცავდა შიდა ეზოებს, პალატებს სულთნის ოჯახის წევრებისათვის, ჰარემს, დარბაზებს სულთნის სათათბირო საბჭოს შეხვედრებისათვის და სხვა მცირე თუ დიდ სამეურნეო და ადმინისტრაციულ შენობას. თოფქაფის სასახლე ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული ცენტრი იყო XIX საუკუნის შუა ხანებამდე. 1856 წლიდან კი, სულთანმა აბდულმეჯიდ I-მა სამეფო კარი გადაიტანა ბოსფორის სანაპიროზე, ევროპული არქიტექტურული სტილით აშენებულ, დოლმაბაჰჩეს სასახლეში. თოფქაფის სასახლე კი, რესპუბლიკურ პერიოდში, 1924 წლიდან მუზეუმის სტატუსს ატარებს და ღიაა დამთვალიერებლებისათვის.

სტამბოლის საერო ნაგებობებს შორის, მნიშვნელოვანი დატვირთვის მატარებელი იყო სავაჭრო და სასტუმრო დანიშნულების დაწესებულებები. ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის განვითარება კოსნტანტინოპოლის აღებისთანავე სულთან მეჰმედ II-ის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად იქცა, რაც გამოიხატა კიდეც 1455 წლიდან დახურილი ბაზრების, იგივე „ბედესტანების“ (Bedestan), შექმნაში. სავაჭრო სახლების ეს ქსელი მალევე გაფართოვდა და საბოლოო ჯამში ცენტრალურ სტამბოლში უზარმაზარი დახურული სავაჭრო ბაზარი ჩამოყალიბდა, რომელსაც დღეს „დიდ ბაზარს“ ან „დახურულ ბაზარს“ უწოდებენ. მელხიორ ლორკის სტამბოლში ყოფნის დროს, სავაჭრო სახლები და მგზავრთა მოსასვენებელი სასტუმროები, იგივე ქარავანსარაები, უკვე ქალაქური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის თავადაც ასეთ დაწესებულებაში ცხოვრობდა, კერძოდ სპეციალურად უცხოელი ელჩებისათვის და დიპლომატებისათვის აგებულ ქარავანსარაიში, რომელსაც „ელჩი ხანი“ (Elçi Han), ანუ ელჩების რეზიდენცია ერქვა. ეს XVI საუკუნის სტამბოლის ერთ-ერთი გამორჩეული ნაგებობა იყო, რომელიც მის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში, იმპერატორ კონსტანტინეს სვეტის სიახლოვეს მდებარეობდა. ელჩების რეზიდენციას ჩვენამდე არ მოუღწევია, თუმცა შემორჩენილია მისი ამსახველი ჩანახატები და თვითმხილველთა ჩანაწერები, რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ ეს იყო დიდი ზომის, ოთხკუთხა ნაგებობა, დიდი შიდა ეზოთი.[27] მელხიორ ლორკი ელჩების რეზიდენციის ვიზუალურ გამოსა-

26 ადრეული პერიოდის სტამბოლის მეჩეთები (ეიუბის, ფათიჰის, სულეიმანიეს, უფლისწულის, აჰმედიეს) დეტალურად აღწერილია ცნობილი ქართველი თურქოლოგის, ლია ჩლაიძის ნაშრომში „სტამბოლი ლეგენდებსა და სინამდვილეში“, თბ., 2024.

27 Doğan Kuban, Ottoman Architecture. Antique Collectors' Club, 2010, გვ. 394.

ხულებას არ გვთავაზობს, თუმცა მის ნახატზე დიდი ადგილი ეთმობა აღმოსავლურ სტილში გადახურულ სხვა სავაჭრო და სასტუმრო ნაგებობებს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა პანორამული ხედის მე-9 და მე-10 ფურცლები. იმავე ფურცლებზე, კერძოდ სულეიმანიეს მეჩეთის სიახლოვეს, გამოსახულია კიდევ ერთი საერო დანიშნულების ნაგებობა, იანიჩართა კორპუსი, ანუ ყაზარმა, სადაც თურქული რეგულარული არმიის ნაწილები იყრიდნენ თავს და წვრთნას გადიოდნენ.

სავაჭრო სახლების მსგავსად, ოსმალური პერიოდის სტამბოლის ერთ-ერთ უძველეს ნაგებობას წარმოადგენს მეჰმედ II-ის მიერ, 1458 წელს აშენებული იედიყულეს ციხე-სიმაგრე. ის ქალაქის რომაულ კედლებთან, მარმარილოს ზღვის სიახლოვეს მდებარეობდა, სახელწოდება კი მოუთითებს, რომ ციხე-სიმაგრე შვიდი კოშკისაგან შედგება. ეს საფორტიფიკაციო ნაგებობა მელხიორ ლორკის პანორამაზე ადგილს იკავებს მე-12 ფურცელზე, იმპერატორ არკადიუსის სვეტის ფონზე (იხ. სურ. 19). იედიყულეს ციხე თავდაპირველად აშენდა, როგორც იმპერიის ხაზინის მთავარი საცავი, თუმცა მოგვიანებით ხაზინამ თოფკაფის სასახლეში, უფრო დაცულ ადგილას, გადაინაცვლა, იედიყულეს ციხე-სიმაგრემ კი XVI საუკუნიდან სატუსაღოს ფუნქცია შეიძინა. მის კედლებში ძირითადად ათავსებდნენ უმაღლესი რანგის პოლიტიკურ და სამხედრო ტყვეებს. აღსანიშნავია, რომ სწორედ იედიყულეს ციხეში იქნა დატყვევებული ქართლის მეფე სიმონ I, სადაც ის 1611 წელს აღესრულა კიდეც.

მელხიორ ლორკის სტამბოლის პანორამულ ხედზე კიდევ არაერთ მნიშვნელოვან და საყურადღებო გამოსახულებას ვაწყდებით. განსაკუთრებული დეტალიზაციით გამოირჩევა ოქროს რქა (იხ. სურ. 20), რომლის მთელ გაყოლებაზე ყურადღებას იქცევს დიდი თუ მცირე ზომის სათევზაო ნავები და გემები. მხატვარს ასევე დეტალურად აქვს გამოსახული ოქროს რქის გალავანი თოფქაფის სასახლიდან უკიდურეს დასავლეთ წერტილამდე. თოფქაფის სასახლის მხარეს, როგორც პანორამულ ხედზე ლორკის მინაწერი გვამცნობს, გალავანი იწყება სასახლის კარიბჭით. ეს გახლავთ ამჟამინდელი სასახლის კონცხი (სარაიბურნუ) ძველი ბიზანტიონის აკროპოლისის შესასვლელი. ბიზანტიურ ეპოქაში კი მას წმინდა ბარბარეს სახელობის კარიბჭე ეწოდა, ახლომდებარე ეკლესიის პატივსაცემად. ეს კარიბჭე, საპირისპირო მხარეს მდებარე ოქროს კარიბჭის მსგავსად, ქალაქის ერთ-ერთ მთავარ შემოსასვლელს წარმოადგენდა. ბიზანტიის იმპერატორები მას ქალაქში ტრიუმფალური შემოსვლებისთვისაც იყენებდნენ. ოსმალურ ეპოქაში კარიბჭემ ფუნქციონირება განაგრძო „თოფქაფის“, ანუ „ზარბაზნის კარიბჭის“ სახელწოდებით (იხ. სურ. 21). ეს სახელიც წმინდა ბარბარესთან ასოცირდება, რომელიც ტრადიციის მიხედვით, მეზარბაზნეთა მფარველად ითვლება. თოფქაფის კარიბჭეს დღემდე არ მოუღწევია, XIX საუკუნეში ის ხანძრის შედეგად განადგურდა, მისი სახელწოდება კი ამის შემდეგ, ახლომდებარე სულთნის სასახლის კომპლექსზე გავრცელდა. მელხიორ ლორკის პანორამულ ხედზე წმინდა „ბარბარეს კარიბჭე“, იგივე „თოფქაფის კარიბჭე“, ადგილს იკავებს 1-ელ და მე-2 ფურცელზე. მათ უკანა ფონზე კი გამწვანებული ტერიტორიაა აღბეჭდილი, ეს გახლავთ ამჟამინდელი გიულხანეს პარკი, რომელიც მოგვიანებით, XIX საუკუნეში გააშენეს და დღეს სასახლის კომპლექსის ნაწილს წარმოადგენს. თოფქაფის კარიბჭის გარდა, ლორკი ასევე გამოსახავს ოქროს რქის გალავნის სხვა კარიბჭეებს და კოშკურებს, მათ შორისაა, „ებრაელთა კარიბჭე“ (Yahudi Kapısı), „მეთევზეთა კარიბჭე“ (Balık Kapı), „ხის კარიბჭე“ (Odun Kapı) სხვა. მთლიანობაში ძველი კონსტანტინოპოლის დამცავი კედლები, რომლებიც ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა, მოიცავდა 244 კოშკს და 61 კარიბჭეს. ლორკის პანორამულ ხედზე კი 120 მათგანია აღბეჭდილი.[28]

---


28 ქალაქის დამცავი კედლების შესწავლისა და სრული დოკუმენტირებისათვის თურქეთის კოჩის უნივერსიტეტი 2007 წლიდან ახორციელებს კვლევით პროექტს, რომელშიც თურქი და ბერძენი მკვლევრები მონაწილეობენ. პროექტის ფარგლებში ოქროს რქის მხარეს მელხიორ ლორკის გამოსახულებაზე აღბეჭდილი კოშკები და კარიბჭეები შეისწავლა ბერძენმა მკვლევარმა ვასილიკი პაპადოპულომ. იხ. Vasiliki Papadopoulou, The Golden Horn Walls and its Gates in Melchior Lorichs's Panorama of Constantinople. Koç University Publication, 2007.




სურ. 9 მარცხნივ: მელხიორ ლორკის ავტოპორტრეტი. მარჯვნივ: ცნობილი ოსმალო არქიტექტორი მიმარ სინანი. ფრაგმენტი მელხიორ ლორკის სტამბოლის პანორამული ხედიდან. შესრულებულია მელნით, ფანქრითა და აკვარელით. მთლიანი პანორამული ხედის ზომა: 45 x 1,145 სმ. © ლეიდენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა/Leiden University Libraries



სურ. 10 აია სოფია. ფრაგმენტი მელხიორ ლორკის სტამბოლის პანორამული ხედიდან. აია სოფია ბიზანტიური არქიტექტურის შედევრად არის მიჩნეული, ის იმპერატორ იუსტინიანე I-ის დროს, 532-537 წლებში აშენდა და საკათედრო ტაძრის ფუნქციას ასრულებდა 1453 წლამდე. შესრულებულია მელნით, ფანქრითა და აკვარელით. მთლიანი პანორამული ხედის ზომა: 45 x 1,145 სმ. © ლეიდენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა/Leiden University Libraries




სურ. 11 „ხალკიტეს ქრისტეს“ ეკლესია. ფრაგმენტი მელხიორ ლორკის სტამბოლის პანორამული ხედიდან. კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ შენობა სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა. ლორკის სტამბოლში ყოფნის დროს მასში მხატვარ-მინიატიურისტთა სახელოსნო „ნაკაშხანე“ იყო განთავსებული. მისი სრული დემონტაჟი XIX საუკუნეში განხორციელდა. შესრულებულია მელნით, ფანქრითა და აკვარელით. მთლიანი პანორამული ხედის ზომა: 45 x 1,145 სმ. © ლეიდენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა/Leiden University Libraries




სურ. 12 მარცხნივ: ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინეს სვეტი („ჩემბერლითაში“). მარჯვნივ: ატიკ ფაშას მეჩეთი. ფრაგმენტი მელხიორ ლორკის სტამბოლის პანორამული ხედიდან. კონსტანტინეს სვეტი ქალაქის უძველესი მონუმენტია, რომელიც 330 წელს აღიმართა ახალი იმპერიული დედაქალაქის, კონსტანტინოპოლის, დაარსებასთან დაკავშირებით. ატიკ ფაშას მეჩეთი კი, ერთ-ერთი პირველია, რომელიც კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ ოსმალებმა ააგეს ქალაქში. კონსტანტინეს სვეტის ძირში ასევე ჩანს ელჩების რეზიდენცია, „ელჩი ხანი“, რომელშიც მელხიორ ლორკი, სტამბოლში ყოფნის დროს, ცხოვრობდა. შესრულებულია მელნით, ფანქრითა და აკვარელით. მთლიანი პანორამული ხედის ზომა: 45 x 1,145 სმ. © ლეიდენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა/Leiden University Libraries




სურ. 13 იმპერატორ ფლავიუს ვალენტის აკვედუკი. ფრაგმენტი მელხიორ ლორკის სტამბოლის პანორამული ხედიდან. აკვედუკის მშენებლობა 373 წელს დასრულდა და მრავალი საუკუნის მანძილზე ქალაქის წყლით მომარაგებას უზრუნველყოფდა. ნაგებობამ ფუნქციონირება განაგრძო ოსმალურ პერიოდშიც. ის მოქმედი იყო მელხიორ ლორკის ქალაქში ყოფნის დროსაც. შესრულებულია მელნით, ფანქრითა და აკვარელით. მთლიანი პანორამული ხედის ზომა: 45 x 1,145 სმ. © ლეიდენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა/Leiden University Libraries




სურ. 14 ღვისმშობლის სახელობის (თეოტოკოს პამაკარისტოსის) ეკლესია. ფრაგმენტი მელხიორ ლორკის სტამბოლის პანორამული ხედიდან. მოზაიკური მხატვრობის ბრწინვალე ნიმუშებით გამორჩეული ეს ეკლესია XI საუკუნით თარიღდება. ის მოქმედი ეკლესია იყო მელხიორ ლორკის სტამბოლში ყოფნის დროს, თუმცა მოგვიანებით, 1591 წელს, მეჩეთად იქნა გადაკეთებული. ახალ მეჩეთს კი „ფეთჰიეს“ სახელი (მომდინარეობს სიტყვა „ფათიჰიდან“, რაც დაპყრობას ნიშნავს) უწოდეს სულთნის მიერ აღმოსავლეთ საქართველოსა და აზერბაიჯანის დაპყრობის აღსანიშნავად. შესრულებულია მელნით, ფანქრითა და აკვარელით. მთლიანი პანორამული ხედის ზომა: 45 x 1,145 სმ. © ლეიდენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა/Leiden University Libraries




სურ. 15 ბიზანტიის იმპერატორთა სასახლე, იგივე „კონსტანტინეს სასახლე“ (Palatium Constantini). ფრაგმენტი მელხიორ ლორკის სტამბოლის პანორამული ხედიდან. შესრულებულია მელნით, ფანქრითა და აკვარელით. მთლიანი პანორამული ხედის ზომა: 45 x 1,145 სმ. © ლეიდენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა/ Leiden University Libraries



სურ. 16 ირინეს კოშკი. ფრაგმენტი მელხიორ ლორკის სტამბოლის პანორამული ხედიდან. კოშკი ბიზანტიურ ეპოქაში აშენდა სათვალთვალო დანიშნულებით. მოგვიანებით კი, XVII საუკუნეში, ის სულთან მურად IV-ის დედის, ქოსემ სულთნის მიერ დაარსებული სავაჭრო და სასტუმრო კომპლექსის, „ვალიდე ხანის“, ნაწილი გახდა. ქვედა ნაწილში გამოსახული მცირე კოშკი კი საპატიმრო ფუნქციის მატარებელი დაწესებულებაა. შესრულებულია მელნით, ფანქრითა და აკვარელით. მთლიანი პანორამული ხედის ზომა: 45 x 1,145 სმ. © ლეიდენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა/Leiden University Libraries




სურ. 17 ფათიჰის მეჩეთი. ფრაგმენტი მელხიორ ლორკის სტამბოლის პანორამული ხედიდან. ფათიჰის მეჩეთი სულთან მეჰმედ II ფათიჰის დაკვეთით, ადგილობრივი ბერძენი არქიტექტორის, ატიკ სინანის (ქრისტოდულოსი) მიერ იქნა აგებული. ის კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ ქალაქში აღმართული პირველი მონუმენტური მეჩეთია. შესრულებულია მელნით, ფანქრითა და აკვარელით. მთლიანი პანორამული ხედის ზომა: 45 x 1,145 სმ. © ლეიდენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა/Leiden University Libraries



სურ. 18 სულეიმანიეს მეჩეთი. ფრაგმენტი მელხიორ ლორკის სტამბოლის პანორამული ხედიდან. ოსმალური არქიტექტურის ეს ბრწინვალე ნიმუში 1550-1557 წლებში შენდებოდა სულთან სულეიმან I-ის კარის მთავარი არქიტექტორის, მიმარ სინანის ხელმძღვანელობით. კომპლექსი („კულიე“), გარდა მეჩეთისა, ასევე მოიცავდა ოთხ რელიგიური სასწავლებელს, დაწყებით სკოლას, სამედიცინო სკოლას, საავადმყოფოს, საქველმოქმედო სასადილოს, სასტუმროს, აბანოს და სხვა დაწესებულებებს. შესრულებულია მელნით, ფანქრითა და აკვარელით. მთლიანი პანორამული ხედის ზომა: 45 x 1,145 სმ. © ლეიდენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა/Leiden University Libraries



სურ. 19 იედიყულეს ციხე. ფრაგმენტი მელხიორ ლორკის სტამბოლის პანორამული ხედიდან. იედიყულეს ციხე თავდაპირველად აშენდა, როგორც ხაზინის მთავარი საცავი, თუმცა მოგვიანებით მან სატუსაღოს ფუნქცია შეიძინა. მის კედლებში ძირითადად ათავსებდნენ უმაღლესი რანგის პოლიტიკურ და სამხედრო ტყვეებს. იედიყულეში იქნა დატყვევებული ქართლის მეფე სიმონ I, სადაც ის 1611 წელს აღესრულა კიდეც. მარცხენა მხარეს იმპერატორ არკადიუსის სვეტია გამოსახული. ბიზანტიური ეპოქის ეს მონუმენტი V საუკუნეშია აგებული, რომელიც არკადიუსის ფორუმის ცენტრში იკავებდა ადგილს. შესრულებულია მელნით, ფანქრითა და აკვარელით. მთლიანი პანორამული ხედის ზომა: 45 x 1,145 სმ. © ლეიდენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა/Leiden University Libraries



სურ. 20 ოქროს რქის ცენტრალური მონაკვეთი. ფრაგმენტი მელხიორ ლორკის სტამბოლის პანორამული ხედიდან. XVI საუკუნის სტამბოლში ყველაზე მჭიდროდ დასახლებული უბნები ოქროს რქის გასწვრივ მდებარეობდა. წარმოდგენილ ფრაგმენტზე ძირითადად ბერძნებით დასახლებული ფენერის უბანია გამოსახული. გამოსახულებაზე ასევე თვალში საცემია ოქროს რქის გასწვრივ აღმართული დამცავი კედლები და კარიბჭეები. ქალაქი მთლიანად 244 კოშკსა და 61 კარიბჭეს მოიცავდა. ლორკის პანორამულ ხედზე კი 120 მათგანია აღბეჭდილი. შესრულებულია მელნით, ფანქრითა და აკვარელით. მთლიანი პანორამული ხედის ზომა: 45 x 1,145 სმ. © ლეიდენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა/Leiden University Libraries



სურ. 21 თოფქაფის კარიბჭე. ფრაგმენტი მელხიორ ლორკის სტამბოლის პანორამული ხედიდან. ეს კარიბჭე მდებარეობდა ამჟამინდელ სასახლის კონცხთან. ბიზანტიურ ეპოქაში მას წმინდა ბარბარეს კარიბჭე ეწოდებოდა. ოსმალურ ეპოქაში მან ფუნქციონირება განაგრძო თოფქაფის, ანუ ზარბაზნის კარიბჭის სახელწოდებით. ეს სახელიც წმინდა ბარბარესთან ასოცირდება, რომელიც ტრადიციის მიხედვით, მეზარბაზნეთა მფარველად ითვლება. თოფქაფის კარიბჭე XIX საუკუნეში ხანძრის შედეგად განადგურდა, მისი სახელწოდება კი ახლომდებარე სულთნის სასახლის კომპლექსზე გავრცელდა. შესრულებულია მელნით, ფანქრითა და აკვარელით. მთლიანი პანორამული ხედის ზომა: 45 x 1,145 სმ. © ლეიდენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა/Leiden University Libraries

თავი IV

სტამბოლი: მე-16 საუკუნის მეგაპოლისი

მელხიორ ლორკის გრავიურებისა და ნახატების მიხედვით აშკარად იკვეთება, რომ 1550-ინ წლებში სტამბოლი საკმაოდ დიდი, მჭიდროდ დასახლებული და ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით გამორჩეული ქალაქია. ასევე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სულთან სულეიმან I-ის მმართველობის დასასრულისათვის სტამბოლი საბოლოოდ ჩამოყალიბდა იმპერიულ დედაქალაქად, რომელსაც თანამედროვე სტანდარტებით მეგაპოლისიც შეიძლება ვუწოდოთ. XVI საუკუნის სტამბოლის ქალაქური კონცეფციისა და ზოგადი ურბანული სახის ფორმირების პროცესი კი სულთან მეჰმედ II-ის მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ დაიწყო. ამ თავში სწორედ ქალაქის ტრანსფორმაციის ეტაპებს განვიხილავთ ბიზანტიური კონსტანტინოპოლიდან ოსმალურ სტამბოლამდე.

მეჰმედ II კონსტანტინოპოლს რამდენიმეკვირიანი ალყისა და მძიმე ბრძოლების შემდეგ, 1453 წლის 29 მაისს დაეუფა, რითაც არსებობა შეწყვიტა ბიზანტიამ, მის ნაცვლად კი ოსმალეთის მზარდი, ექსპანსიაზე ორიენტირებული იმპერია გაბატონდა. მეჰმედ II ოსმალეთის სუთნებს შორის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა, რომლის პოლიტიკამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა მომავალი იმპერიისა და მისი დედაქალაქის კონცეპტუალური სახე. კონსტანტინოპლის აღების აღსანიშნავად მას "ფათიჰი" ანუ „დამპყრობელი" (Fatih) ეწოდა. მის ოფიციალურ ტიტულატურაში კი გაჩნდა „კაიზერი რუმის" (Kayser-i Rum) დასახელება, რაც რომის კეისარს, იმპერატორს ნიშნავს. ეს ნაბიჯი კი სიმბოლურად გამოხატავდა მის დამოკიდებულებას, რომლის მიხედვითაც ოსმალეთის ახალი იმპერია არსებულს კი არ ანადგურებდა, არამედ აგრძელებდა მის მემკვიდრეობას, ამჯერად ისლამური დროშის ქვეშ.

ქალაქის აღების შემდეგ, მეჰმედ II-ის გადაწყვეტილებით, დაიწყო მზადება იმპერიის ადმინისტრაციული ცენტრის ედირნედან (ყოფილი ადრიანოპოლისი) სტამბოლში გადმოსატანად, თუმცა ეს მარტივი პროცესი არ ყოფილა. ოსმალებს ქალაქი ძალზედ მძიმე მდგომარეობაში დახვდათ და მის სრულფასოვან სატახტო ქალაქად გადაქცევა კი სერიოზულ ძალისხმევასთან იყო დაკავშირებული. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქში მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად იყო შემცირებული. კონსტანტინოპოლის ალყამდე, სხვადასხვა მონაცემებით, ქალაქის მოსახლეობა 40-50 ათას ადამიანს შეადეგნდა,[29] თუმცა ეს რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდა მისი დაცემის შემდეგ. ქალაქში ოსმალების შეჭრიდან პირველი სამი დღის განმავლობაში მასობრივი ხოცვა-ჟლეტა გაიმართა, რასაც ათასობით ადგილობრივი მოსახლის სიცოცხლე შეეწირა, სიკვდილს გადარჩენილთა ნაწილს ქალაქის დატოვება მოუწია, ნაწილი კი დამონებულ იქნა. მოსახლეობის სიმცირის გარდა, ალყის დროს განხორციელებული დაბომბვების შედეგად თითქმის მთლიანად განადგურდა ქალაქის ინფრასტრუქტურა. ისიც უნდა აღინიშოს, რომ მრავალი ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობა ქალაქში ჯერ კიდევ ოსმალების გამოჩენამდე განადგურდა და გამოყენებისათვის გამოუსადეგარი იყო.

ახლადდაუფლებულ კონსტანტინოპოლში, რომელიც იმპერიის დედაქალაქი უნდა გამხდარიყო, მეჰმედ II-ის გადაწყვეტილებით მყისიერად დაიწყო ზომების მიღება ქალაქის აღორძინებისათვის და ინფრასტრუქტურის გამართვისავის. მისთვის პირველი რიგის ამოცანა გახდა ქალაქის კვლავ მოსახლეობით შევსება, რაც იმპერიის სხვადასხვა პროვინციებიდან იძულებითი მიგრაციებით უნდა განხოციელებულიყო. სულთნის განკარგულებით თითეული პროვინციის ყადის (მა-

29 Çiğdem Kafescioğlu, Constantinopolis / Istanbul: Cultural Encounter, Imperial Vision, and the Construction of the Ottoman Capital. The Pennsylvania State University Press, 2009, გვ. 4.

რთლმსაჯულებაზე პასუხისმგებელი პირი) დაევალა მინიმუმ ათასი ოჯახის მობილიზება დედაქალაქში გადმოსახლებისათვის. სტამბოლის ახალმოსახლეთა შერჩევისას კი პრიორიტეტულად განისაზღვრა მოსახლეობის ის კატეგორია, რომელიც ქალაქის განვითარებისათვის სასარგებლო იქნებოდა, კერძოდ ვაჭრები, ხელოსნები და სხვადასხვა საჭირო პროფესიის წარმომადგენლები. გადმოსახლებულთა შორის იყვნენ როგორც თურქები და მუსლიმები, ასევე სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები. ასე მაგალითად, ბერძნული მოსახლეობა, როგორც ანატოლიიდან, ასევე ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან ძირითადად დასახლებულ იქნა ფენერის უბანში, ოქროს რქის გაყოლებაზე. აღსანიშნავია, რომ ამ უბანმა ბერძნული იდენტობა საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნა. სტამბოლში ინტენსიურად მიმდინარეობდა ანატოლიის სომხური მოსახლეობის გადმოსახლეობაც. სტამბოლის დაპყრობიდან მალევე ასევე განხორციელდა თრაკიიდან და მაკედონიიდან ებრაული მოსახლეობის მიგრაცია. ამავე პერიოდში სტამბოლში მნიშვნელოვნად გაიზარდა სლავური, კერძოდ სერბული მოსახლეობის რაოდენობაც. მეჰმედ II-ის მმართველობის დროს სტამბოლში დასახლებას აიძულებდნენ ტყვედ აყვანილებსაც, რომელთა დიდი ნაწილი ძირითადად განსახლებულ იქნენ ქალაქის გაუკაცრიელებულ და მოსახლეობისაგან დაცლილ პერიფერიებში. სტამბოლში იძულებითი გადმოსახლება ასევე შეეხო ეგეოსის ზღვის რეგიონში დამორჩილებული კუნძულების ბერძნულ მოსახლეობას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება საიდანაც დედაქალაქის მოსახლეობით შევსება მიმდინარეობდა გახლდათ შავიზღვისპირეთი და განსაკუთრებით ტრაპიზონის მხარე, საიდანაც თურქების, ბერძნებისა და სომხების გარკვეული რაოდენობა იქნა გადმოსახლებული. ახლადჩამოსახლებულ თურქებს ძირითადად ეიუბის რაიონში, ოქროს რქის სიახლოვეს (ქალაქის გალავნის მიღმა), ბოსფორის ყურის გაყოლებაზე და მარმარილოს ზღვის სანაპიროზე ასახლებდნენ.

აღსანიშნავია, რომ სტამბოლში დასახლებული ყოველი მიგრანტი, მათ შორის არამუსლიმები, სულთნისაგან იღებდნენ „მულკნამეს“ (Mulkname), ანუ საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტს. სახლის მფლობელობისათვის გადასახადი არ ყოფილა დაწესებული, თუმცა მიწისათვის ახალმოსახლეები სპეციალურ ქირას იხდიდნენ. მოგვიანებით კი, 1482 წლიდან, ეს გადასახადი გაუქმებულ იქნა.[30] არამუსლიმებისათვის კი, ისლამური კანონმდებლობის შესაბამისად, დაწესებული იყო სპეციალური გადასახადი „ჯიზია“.

რაც შეეხება სტამბოლის მოსახლეობის საერთო რაოდენობას და მის ეთნიკურ შემადგენლობას, ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან პირველწყაროს წარმოადგენს ქალაქის აღწერის მონაცემები. პირველი აღწერა ქალაქის აღებიდან მალევე, 1455 წელს ჩატარდა. მოგვიანებით კი, 1477 წელს, სტამბოლის ყადიმ, მუჰიდინმა ბევრად უფრო სრული და მოცულობითი აღწერა ჩაატარა, რომლის მიხედვითაც ქალაქში წარმოდგენილი იყო 8,951 თურქული, 3,151 ბერძნული და 1,647 ებრაული კომლი. სხვა ეროვნებებს მიკუთვნებული კომლების რაოდეობა კი 1,067-ს შეადგენდა. ამ მონაცემებში მხოლოდ ქალაქის გალავნის შიგნით მცხოვრებთა რაოდენობა იგულისხმება. გალათას რაც შეეხება, მონაცემები შემდეგნაირია: 535 თურქული, 572 ბერძნული, 332 ფრანგული (იგულისხმება ზოგადად ევროპული) და 62 სომხური კომლი. საერთო ჯამში, სტამბოლის გალავნის შიგნით და გალათაში მოსახლეობის საერთო რაოდენობა 16,324 კომლი გამოდის.[31] ამ მონაცემებზე დაყრდობით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მეჰმედ II-ის მმართველობის დასასრულისათვის, ანუ 1481 წლისათვის, სტამბოლის მოსახლეობის რაოდენობა დაახლეობით 100,000-მდე აღწევდა, ანუ ქალაქის დაპყრობიდან პირველი ოცდახუთი წლის განმავლობაში მისი მოსახლეობა დაახლოებით 60-80,000-ით გაიზარდა. სტამბოლში მოსახლეობის ზრდის პროცესი, მეჰმედ II-ის შემდეგაც გაგრძელდა. XVI საუკუნის შუა ხანებისათვის კი, სხვადასხვა მონაცემებით, ქალაქის მოსახლე-

30 Doğan Kuban, Istanbul, An Urban History: Byzantion, Constantinopolis, Istanbul. Türkiye İş Bankasi Kültür Yayınları, 2010, გვ. 318.

31 Mehmet Öz, İstanbul Nüfusu: Fetihten XVIII. Yüzyıl Sonlarına Kadar. Büyük İstanbul Tarihi, Cilt 3, Siyaset ve Yönetim, Demografi. Editör: Coşkun Yılmaz, İstanbul, 2015, გვ. 475.

ობის საერთო რაოდენობამ ნახევარ მილიონს მიაღწია. მოსახლეობის ზრდასთან ერთად თანმიმდევრულად ხორციელდებოდა ქალაქის განაშენიანების, ინფრასტრუქტურის გამართვისა და ახალი შენობების აგების პროცესი. ცნობილია, რომ მხოლოდ 1553-1581 წლების პერიოდში სტამბოლში სამასამდე ახალი ნაგებობა აშენდა. მათ შორისაა მეჩეთები, სასახლეები, აბანოები, ბიბლიოთეკები, მედრესეები, სავაჭრო და კომერციული დაწესებულებები თუ სხვადასხვა ადმინისტრაციული დანიშნულების შენობები. სტამბოლში ურბანულმა განვითარებამ კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო სულთან სულეიმან I-ის მმართველობის დროს, როდესაც ძირითად სამშენებლო პროექტებს სულთნის მთავარი არქიტექტორი, მიმარ სინანი ხელმძღვანელობდა. სინანი არა მხოლოდ ოსმალური, არამედ მსოფლიო არქიტექტურის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია, რომლის ქმნილებებმა სტამბოლს იმპერიული დედაქალაქის ვიზუალური იმიჯი შესძინდა.

საბოლოო ჯამში, კონსტანტინოპოლის აღებიდან დაახლოებით ასი წლის შემდეგ, ოსმალეთის იმპერიის ახალი დედაქალაქი ევროპის ერთ-ერთ ვრცელ და მრავალრიცხოვან ურბანულ ცენტრად ჩამოყალიბდა. ქალაქის მართვა-გამბეობა, ურბანული პოლიტიკა თუ მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა აღმოსავლურ-ისლამურ პრინციპებს ეყრდნობოდა, თუმცა სტამბოლის შემთხვევაში მან უნიკალური ხასიათი შეიძინა, რომელშიც გათვალისწინებული იყო კონსტანტინოპოლის დროინდელი ბიზანტიურ-რომაული მოდელის ელემენტებიც.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით სტამბოლს საერო მმართველობა ჰყავდა, რომელიც დიდი ვეზირის ზოგადი ზედამხედველობის ქვეშ ფუნქციონირებდა. ქალაქის მუნიციპალურ და სამართლებრივ საკითხებში კი მთავარ პასუხისმგებელ პირს ყადი წარმოადგენდა. ის მთავრობის მიერ გაცემული უფლებამოსილებით სტამბოლის გამგებლის ფუნქციასაც ასრულებდა და „სტამბოლის ეფენდის“ (İstanbul Efendisi), ანუ „სტამბოლის ბატონის“ სახელითაც იყო ცნობილი. ქალაქის მართვასთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში მას ეხმარებოდნენ „იჰთისაბ აღა“ (Ihtisab Ağası), ვაჭრობაზე და ბაზრებზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირი, „მიმარბაში“ (Mimarbaşı), შენობებზე და არქიტექტურაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირი, „სუბაში“ (Subaşı), ქალაქის წყლით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი და სხვები.[32] სტამბოლის ყადის ძალაუფლება სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულზე - „სტამბოლის ყადილიქზე“ (İstanbul Kadılığı) ვრცელდებოდა, რომელიც სტამბოლის გალავნის შიგნით მდებარე ტერიტორიას მოიცავდა. „სტამბოლის ყადილიქის“ გარდა არსებობდა ასევე ქალაქის გალავნის მიღმა მდებარე სამი ყადილიქი, კერძოდ „ეიუბის ყადილიქი“ (Eyüp Kadılığı), მოიცავდა ეიუბის და მის დასავლეთით მდებარე უბნებს, „გალათას ყადილიქი“ (Galata Kadılığı), მოიცავდა გალათას და ზოგადად ოქროს რქის მიღმა მდებარე ვრცელ ტერიტორიას და „უსკუდარის ყადილიქი“ (Üsküdar Kadılığı), მოიცავდა სტამბოლის აზიურ ნაწილს. სამივე ამ ადმინისტრაციულ ერთეულს ეწოდებოდა „ბილადი სელასე“ (Bilâd-ı Selâse), ანუ „სამი ქალაქი“, რომელიც „სტამბოლის ყადილიქთან“ ერთად ფაქტიურად სტამბოლის დიდ აგლომერაციას შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ქალაქში უსაფრთხოებისა და სოციალური და ეკონომიკური წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით ოთხივე ინსტიტუციას შორის თანამშრომლობის ფორმატი არსებობდა. მათ საერთო გადაწყვეტილებებზე იყო დამოკიდებული, სხვადასხვა საკითხებთან ერთად ქალაქში ფასებისა და ტარიფების დაწესება. ამას გარდა, ყოველ ოთხშაბათს სტამბოლისა და „ბილადი სელასეს“ ყადები იკრიბებოდნენ დიდ ვეზირთან ქალაქის პრობლემებისა და არსებული საჩივრების განსახილველად.[33]

სტამბოლის შედარებით მცირე ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ ნაჰიე და მაჰალე. მაგალითისათვის, XVI საუკუნის შუა ხანებისათვის სტამბოლი მოიცავდა 13 ნაჰიეს, თითოეული მათგანში მაჰალეების რაოდენობა კი მერყეობდა 5-დან 30-მდე. ნაჰიები სახელწოდებებს იღებდნენ ძირითადი შენობების,

32 Mehmet İpşirli, Payitaht İstanbul'un İdaresi. Büyük İstanbul Tarihi, Cilt 3, Siyaset ve Yönetim, Demografi. Editör: Coşkun Yılmaz, İstanbul, 2015, გვ. 75.

33 Islamic Encyclopedia. Volume 6. TDV Islamic Research Center. Istanbul, 1992, გვ. 151-152.

მეჩეთების ან კარიბჭეების მიხედვით. ასე გაჩნდა აია სოფიას ნაჰიე, თოფქაფის ნაჰიეს და სხვა. მათ ცენტრებს დიდი მონუმენტური მეჩეთები წარმოადგენდნენ, მაჰალეების ცენტრებად კი მცირე ზომის მეჩეთები, მესჯიდები ითვლებოდა.

სტამბოლის საქალაქო ცხოვრებას რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ურბანული ინსტიტუტი განსაზღვრავდა. ესენია ზემოთნახსენები მაჰალე (Mahalle), ანუ მცირე საქალაქო უბანი, კულიე (Külliye), მეჩეთის გარშემო გაშენებული კომპლექსი და ვაკუფების (Vakıf), იგივე საქველმოქმედო ფონდების სისტემა. ურბანული განვითარების ეს მოდელი აღმოსავლურ-ისლამური წარმოშობისაა, თუმცა სტამბოლში მან შეიძინა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურება, რამაც ჩამოაყალიბა კიდეც ქალაქის უნიკალური იდენტობა.

მაჰალე ქალაქის ისტორიაში ყველაზე სტაბილურ და საუკუნეების განმავლობაში უცვლელი ურბანულ ინსტიტუტს წარმოადგენდა. სტამბოლში მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მაჰალეების რაოდენობაც, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ეთნიკური ნიშნით ყალიბდებოდა, თუმცა არსებობდა ეთნიკურად შერეული მაჰალეებიც. ზოგადად ისლამურ ქალაქებში სხვადასხვა ეთნიკური უბნების კედლით გამოყოფოდა ხოლმე, თუმცა ოსმალური ეპოქის სტამბოლში მსგავსი პრაქტიკა არ დანერგილა. სტამბოლის მაჰალეების სულიერ და საერო ხელმძღვანელის ფუნქციას ლოკალური მეჩეთის იმამი ასრულებდა. ის მაჰალეს მაცხოვრებელთა, იგივე ჯემაათის ლიდერადაც იყო მიჩნეული. მაჰალეს ფიზიკურ ფორმას კი სახლები აყალიბებდნენ. სტამბოლის სახლები, როგორც წესი, ერთ ან ორსართულიან ნაგებობებს წარმოადგენდნენ, რომლებშიც სრულად იყო დაცული მაცხოვრებელთა უსაფრთხოება და პრივატულობა. ეს სახლები ძირითადად ქვისგან, აგურისგან და ხისგან შენდებოდა. მეორე სართულის კონსტრუქცია უმეტეს შემთხვევაში ხის მასალისგან შედგებოდა. გადახურვისთვის კი კრამიტი გამოიყენებოდა. ქალების ოთახებიც მეორე სართულზე იყო განთავსებული, რომელთა ფანჯრები გადიოდა არა ქუჩის, არამედ შიდა ეზოს მხარეს. აღსანიშნავია, რომ სტამბოლის საცხოვრებელ უბნებში, განსხვავებით კონსტანტინოპოლისა, ქუჩები ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული იყო. ერთადერთ ფართო და სწორ ქუჩას „დივან იოლუ“ (Divanyolu) წარმოადგენდა, რომელიც აია სოფიასა და ბაიაზიდის მოედანს აკავშირებდა ერთმანეთს.[34] ეს გახლდათ მონაკვეთი კონსტანტინოპოლის დროინდელი მესეს პროსპექტისა, რომელიც „ოქროს კარიბჭიდან“, ანუ ქალაქში მთავარი საცერემონიო შემოსასვლელიდან აია სოფიამდე იყო გადაჭიმული.

სტამბოლის ურბანული განვითარება და სტაბილური სოციალური გარემოს ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად იყო ასევე დამოკიდებული ისეთი ინსტიტუტის არსებობაზე, როგორიც იყო კულიე. ეს გახლდათ მეჩეთთან ფიზიკურად და კონცეპტუალურად დაკავშირებული შენობა-ნაგებობების მთელი კომპლექსი, რომელიც მოიცავდა საავადმყოფოს, რელიგიურ სასწავლებელს, ბიბლიოთეკას, სასადილოს, სასტუმროს, აბანოს და სხვა დანიშნულების ინსტიტუციას. კულიე ძირითადად მონუმენტური სტატუსის მატარებელ მეჩეთებთან იქმნებოდა, მათ შორის ყველაზე დიდი და მასშტაბური კი სულეიმანიეს მეჩეთის კულიე წარმოადგენდა. მაგალითისათის მისი ორიგინალი კონსტრუქცია მოიცავდა ოთხ რელიგიური სასწავლებელს, დაწყებით სკოლას, სამედიცინო სკოლას, საავადმყოფოს, საქველმოქმედო სასადილოს, სასტუმროს, აბანოს და სხვა დაწესებულებებს.[35]

კულიეები საქველმოქმედო დანიშნულების მქონე ფონდების, ვაკუფების მიერ იყო დაფუძნებული. ვაკუფები კი თავის მხრივ ქალაქში სოციალური კეთილდღეობის უზრუნველმყოფელ მთავარ ისნტიტუტს წარმოადგენდა. ვაკუფების მეშვეობით ასევე ხორციელდებოდა ყველა სახის საჯარო სერვისების უზრუნველყოფა, მათ შორის მეჩეთების და ხიდების აშენება, წყალგაყვანილობის გამართვა, ბიბლიოთეკების, სასტუმრო დაწესებულებების დაფუძნება თუ სხვა. სისტემა ინდივიდუალური შემოწირულობის ხარჯზე ფუნქციონირებდა, რომელსაც ზოგად ზედამხედველობას ყადი უწევდა. შეიძლება ითქვას, რომ ოსმალეთის იმპერიაში

34 Doğan Kuban, Istanbul, An Urban History: Byzantion, Constantinopolis, Istanbul. Türkiye İş Bankasi Kültür Yayınları, 2010, გვ. 326.

35 Doğan Kuban, Ottoman Architecture. Antique Collectors' Club, 2010, გვ. 279.

და განსაკუთრებით სტამბოლის შემთხვევაში, ვაკუფებმა რელიგიურზე მეტად ტერიტორიულ-მუნიციპალური ინსტიტუციის ფორმა შეიძინა. მაგალითისათვის, ზოგიერთი ფონდის სადამფუძნებლო დებულება არეგულირებს ისეთ მუნიციპალურ ხარჯებს, როგორებიცაა ხელფასები ოდენობა ქუჩის დასუფთავების პერსონალისათვის. დებულებებში დეტალურად იყო ასევე გაწერილი საავადმყოფოებში ექიმების დანიშვნის წესი და ავადმყოფთა მოვლის პროცედურები. სხვა ღონისძიებებთან ერთად ვაკუფების სისტემა უზრუნველყოფდა უსახლკაროთა დაბინავებას, გამოყოფდა სახსრებს მოსწავლეთა სწავლის დაფინასებისათვის. ამასთანავე ვაკუფების მართვაში ათასობით ადამიანი იყო ჩართული, რაც მათთვის სტაბილურ ფინანსურ შემოსავალს განაპირობებდა.

სტამბოლის, როგორც იმპერიული დედაქალაქის იდენტობის განმსაზღვრელ სხვა ინსტიტუციებს შორის ასევე შეიძლება დავასახელოთ ბაზარი, სასტუმრო დაწესებულებები და სასახლე, რომელთაც სრულყოფილი სახე სწორედ XVI საუკუნის შუა ხანებში, სულთან სულეიმან I-ის მმართველობის დროს შეიძინეს.

ამ ეპოქის სტამბოლის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ასევე გახლდათ მისი რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნება. XVI საუკუნის შუა ხანებისათვის ქალაქში არამუსლიმთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 40 პროცენტამდე ჩამოყალიბდა,[36] რაც სპეციალური პოლიტიკის შემუშავების საჭიროებას ქმნიდა. ზოგადად ისმალეთის იმპერიაში არამუსლიმების მიმართ მმართველობის მილეთური სისტემა მოქმედებდა, რომელიც არამუსლიმურ მოსახლეობას საშუალებას აძლევდა მოეგვარებინა საქმეები თავისი ერთობის შიგნით და გარკვეული თვითმმართველობით ესარგებლა (Millet ნიშნავს „ხალხს“, „ეთნოსს“). ქართველი თურქოლოგის, მიხეილ სვანიძის შეფასებით თიმარული სისტემა სულთნის მხრიდან კომპრომისული გადაწყვეტილება იყო,[37] რაც მთელ რიგ დათმობებზე წასვლას გულისხმობდა. ასეთი მმართველობა საშუალებას აძლევდა სულთნის ხელისუფლებას მორჩილებაში ჰყოლოდა არამუსლიმი მოსახლეობა, მერეს მხრივ კი ის უზრუნველყოფდა სახელმწიფო ხაზინაში არამუსლიმებისათვის განკუთვნილი გადასახადები შეუფერხებლად შემოსვლას. თიმარულმა სისტემამ იმპერიაში, და განსაკუთრებით მის დედაქალაქში, შედარებითი ტოლერანტობის დამკვიდრებას შეუწყო ხელი. არამუსლიმებს სრულფასოვანი ეკონომიკური და კომერციული საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა გააჩნდათ. მართალია თურქებისგან განსხვავებით, მეტ გადასახადს იხდიდნენ, თუმცა ცხოვრება არ უწევდათ დისკრიმინირებულ, გეტოს მსგავს დასახლებებში. უფრო მეტიც, ქალაქის მმართველობისაგან აკრძალული არ იყო განსხვავებული, მათი ეთნოსისათვის და რელიგიისათვის დამახასიათებელი სამოსის ტარება, ალკოჰოლური სასმელის დალევა და სხვა მსგავსი საქმიანობა, თუმცა არამუსლიმებს არ შეეძლოთ ემსახურათ სახელმწიფო-ადმინისტრაციულ და სამხედრო უწყებებში, ეკრძალებოდათ იარაღის ტარებაც.

ქრისტიან მოსახლეობას შორის სტამბოლში ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ბერძნები შეადგენდნენ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ისინი განეკუთვნებოდნენ არა კონსტანტინეპოლში მცხოვრები ძველი ბერძნების შთამომავლებს, არამედ წარმოადგენდნენ იმპერიის სხვადასხვა პროვინციებიდან იძულებით თუ ნებით გადმოსახლებულებს. ქალაქში მათი განსახლების ადგილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოქროს რქის სანაპიროზე, ფენერის უბანში იყო, თუმცა ბერძნები ასევე სახლობდნენ სამათიაში, კუმკაფიში, გალათასა და ბოსფორის სრუტის ცალკეულ მონაკვეთებზე. მათ ძირითად საქმიანობას შეადგენდა მეთევზეობა და საზღვაო ვაჭრობა. ფლობდნენ დუქნებსა და ტავერნებს.

ისტორიულად სტამბოლელი ბერძნების იდენტობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან, რომლის პოზიციები ოსმალების

36 Doğan Kuban, Istanbul, An Urban History: Byzantion, Constantinopolis, Istanbul. Türkiye İş Bankasi Kültür Yayınları, 2010, გვ. 331.

37 მიხეილ სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2007, გვ. 138.

მიერ ქალაქის აღების შემდეგ შესუსტდა, თუმცა მას არსებობა არ შეუწყვეტია. პირიქით, მეჰმედ II-ის განკარგულებით, მისი უსაფრთხოება და ხელშეუხებლობა კანონის მიხედვით იქნა უზრუნველყოფილი. კონსტანინოპოლის საპატრიარქო მართლმადიდებელ თემში დიდი ძალაუფლებისა და ავტორიტეტის მქონე ინსტიტუციად ჩამოყალიბდა. უფრო მეტიც, პატრიარქი სულთნის კარზეც მნიშვნელოვან მოხელედ ითვლებოდა, ის ფაშის ტიტულსაც ფლობდა და სულთნის სახელით განაგებდა მართლმადიდებელთა სასულიერო და სამოქალაქო საქმეებს. აია სოფიას ტაძრის მეჩეთად გადაქცევის შემდეგ საპატრიარქო რეზიდენცია წმინდა მოციქულთა სახელობის ეკლესიაში გადავიდა, თუმცა პატრიარქ გენადის თხოვნით, ის მალევე გადატანილ იქნა თეოთოკოს პამაკარისტოსის ეკლესიაში. ამ უბანს კი სადაც ეს ეკლესია მდებარეობდა, „მაჰალეი ბატრიკი“ (Mahalle-i Batrik), ანუ საპატრიარქო უბანი ეწოდა.[38] პამაკარისტოსის ეკლესიის მეჩეთად გადაქცევის შემდეგ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო 1600 წლიდან საბოლოოდ ფენერის წმინდა გიორგის ეკლესიაში დამკვიდრდა.

სტამბოლის ქრისტიანებს შორის მრავალრიცხოვნობით გამოირჩეოდა სომხური თემიც. კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ სომხური მოსახლეობის ნაწილი მარმარილოს ზღვის სანაპიროზე, მალათიის უბანში, იქნა განსახლებული, სადაც შეიქმნა კიდეც პირველი სომხური საპატრიარქო რეზიდენცია, რომელიც წმინდა გევორქის ეკლესიაში განთავსდა. მოგვიანებით, 1641 წლიდან, ის კუმკაფის უბანში, მარიამ ღვრთისმშობლის სახელობის ეკლესიაში გადავიდა.[39] კონსტანტინოპოლის სომეხთა საპატრიარქო სათავეში ედგა „სომხურ მილეთს“, რომელიც 1461 წლიდან ჩამოყალიბდა. სტამბოლის სომხური საპატრიარქო, შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი სომხური მოსახლეობის სამოქალაქო და რელიგიური ცხოვრების განმსაზღვრელ მთავარ ინსტიტუციად ჩამოყალიბდა. სტამბოლის სომხების მარმარილოს ზღვის სიახლოვის გარდა ასევე ცხოვრობდა ბეშიქთაშსა და უსკუდარში. მათი ძირითადი საქმიანობა დაკავშირებული იყო ვაჭრობასთან და სხვადასხვა მიმართულების ხელობასთან, განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვის დამუშავება და მშენებლობა.

XVI საუკუნის სტამბოლის ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან და დაწინაურებულ ეთნო-რელიგიური ჯგუფს ებრაელები შეადგენდნენ. ისინი ქალაქის სხვადასხვა უბნებში იყვნენ კონცენტრირებულები, თუმცა სტამბოლის ებრაელთა ყველაზე წარჩინებული თემი ოქროს რქის გაყოლებაზე, ბერძნული დასახლების სიახლოვეს, სირკეჯიდან ბალათის უბნამდე იყო განსახლებული. ამ ტერიტორიაზე ებრაელთა კვალის გამოვლინებაა „ებრაელთა კარიბჭის“ არსებობა, რომლის შესახებ წინა თავშიც აღვნიშნეთ. მოგვიანებით ოქროს რქის სანაპიროზე „ახალი მეჩეთის“ (Yenicami) მშენებლობის გამო, ბევრი ადგილობრივი ებრაელი სტამბოლის სხვადასხვა უბანში გადანაწილდა, ყველაზე დიდი რაოდენობა კი გალათაში, ჰასქოის დასახლებაში აღმოჩნდა, სადაც მე-17 საუკუნის ბოლოსათვის ებრაელთა 11,000-იანი მჭიდროდ დასახლებული თემი ჩამოყალიბდა, 11 სინაგოგით.[40] სტამბოლის ებრაელები ძირითადად იყვნენ ვაჭრები, ფინანსისტები, ხელოვანები, ექიმები, მათ შორის იმპერიული სასახლის ექიმები. ევროპასთან მჭიდრო კავშირის გამო ებრაელებს მიეწერებათ სტამბოლში ბევრი ახალი ევროპული ტექნოლოგიის ჩამოტანა და დანერგვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპაში ბეჭდური ტექნოლოგიის დანერგვიდან მოკლე დროში, 1494 წელს, ებრაულმა თემმა სტამბოლში სტამბა დააფუძნა.

სტამბოლის სხვა ეთნოსებს შორის, რა თქმა უნდა, იყვნენ გენუელები და იტალიის სხვადასხვა ქალაქებიდან მიგრირებული კათოლიკეები, რომლებიც ძირი-

38 İsmail Taşpınar, Fetih›ten XVIII. Yüzyılın Sonuna İstanbul Rumlarının Dinî Hayatı. Büyük İstanbul Tarihi, Cilt 5. Din. Editör: Coşkun Yılmaz, İstanbul, 2015, გვ. 82.

39 Cahit Külekçi, İstanbul Ermenileri: Kilise ve Gelenek. Büyük İstanbul Tarihi, Cilt 5. Din. Editör: Coşkun Yılmaz, İstanbul, 2015, გვ. 131.

40 Doğan Kuban, Istanbul, An Urban History: Byzantion, Constantinopolis, Istanbul. Türkiye İş Bankasi Kültür Yayınları, 2010, გვ. 334.

თადად გენუელების ყოფილ კოლონია, გალათაში ცხოვრობდნენ. მათ ძირითადად ფრანკების სახელით მოიხსენიებდნენ. XVI საუკუნის შუა ხანებიდან ქალაქში ასევე მომრავლდა არაბებისა და სპარსელების რაოდენობა. არაბები ძირითადად კონცენტრირებულნი იყვნენ გალათაში, „არაბული მეჩეთის“ (Arap Camii) გარშემო. ეს ნაგებობა ჯერ კიდევ XIV საუკუნეში აშენდა დომინიკელთა ორდენის მიერ, როგორც რომაულ კათოლიკური ეკლესია. მოგვიანებით, კონსპანტინეპოლის დაცემის შემდეგ, 1478 წელს, ის მეჩეთად გადაკეთდა. 1490-იან წლებში კი სულთანმა ესპანული ინკვიზიციისაგან დევნილი მუსლიმები შეიფარა და მფლობელობაში სწორედ ეს მეჩეთი გადასცა, რომელსაც „არაბული მეჩეთი“ ეწოდა.

მართალია, შედარებით მცირე რაოდენობით, თუმცა XVI საუკუნის სტამბოლში ქართველებიც იყვნენ წარმოდგენილნი. აღსანიშნავია, რომ ქართული დასახლებების ისტორია სტამბოლში ჯერ კიდევ ბიზანტიური პერიოდის კონსტანტინეპოლიდან იწყება. ქართველები ქალაქში ცხოვრობდნენ ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღების მომენტისათვისაც. მათი ძირითადი დასახლება კი გალათას უბანში მდებარეობდა, რომელსაც ოსმალებმა „გურჯუ კაფუ“, ანუ „ქართველთა კარი“ უწოდეს. იტალიელი მკვლევრის, ევგენი დალეჯიო დ’ალესიოს მიხედვით, ქართველთა ეს დასახლება ძირითადად მესხი კათოლიკეებისაგან შედგებოდა, რომელიც წმინდა პეტრეს სახელობის კათოლიკური ეკლესიაც ფლობდა.[41] დალეჯიო, ათონის მთის ბერებზე დაყრდნობით, ასევე მიუთითებს ქართველთა კიდევ ერთი სალოცავის არსებობის შესახებ. ამ გადმოცემის მიხედვით ქართული სალოცავი არსებობდა ფიალა ფაშას მეჩეთის ადგილას. ფიალა ფაშა (Piyale Pasha), ოსმალეთის ფლოტის ადმირალი იყო, რომლის სახელობის მეჩეთი, არქიტექტორმა მიმარ სინანმა აღმართა 1573 წელს, გალათაში, ერთ-ერთ შემაღლებულ ბორცვზე, კასიმფაშას უბანში. ამ მეჩეთის ადგილზე მართლაც არსებობდა ქრისტიანული ეკლესია, კერძოდ წმინდა პარასკევის, იგივე ვენერანდას ეკლესია, რომელიც შესაძლოა მანამდე ქართველთა სალოცავი ადგილი ყოფილიყო. ეს ეკლესია დატანილია წინა თავში ნახსენებ ვავასორესა და გრაუნ/ჰოგენბერგის სტამბოლის გამოსახულებებზე. თუმცა XVI საუკუნის შუა ხანებისათვის ის უკვე განადგურებულია. ამის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის მელხიორ ლორკი სტამბოლის პანორამული ხედი. კერძოდ, ხედის მე-16 ფურცელზე სადაც მჭიდროდ დასახლებული უბანია გამოსახული მხატვარს შემდეგი მინაწერი აქვს გაკეთებული: „წმინდა ვენერანდა იყო ქრისტიანული ეკლესია. თურქებმა მოახდინეს მისი დემონტაჟი“.[42]

ოსმალური პერიოდის სტამბოლში ქართველთა მნიშვნელოვანი თავმოყრის ადგილს წარმოადგენდა, ქალაქის ერთ-ერთ ისტორიულ ცენტრში, იმპერატორ კონსტანტინეს სახელობის სვეტის უშუალო სიახლოვეს მდგარი სასტუმრო დაწესებულება “ვეზირ ხანი” (Vezir Han). ის XVII საუკუნის შუა ხანებში აშენდა, რომელშიც ევგენი დალეჯიო დ’ალესიოს კვლევის მიხედვით ქართველებს 19 ოთახი ეკუთვნოდათ.[43] აღსანიშნავია, რომ ქართველთა კულტურული ცხოვრება სტამბოლში კიდევ უფრო გაფართოვდა XIX საუკუნეში, ფერიქოის ქართული კათოლიკური ეკლესიის დაარსების შემდეგ.[44]

---

41 ევგენი დალეჯიო დ’ალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში. თარგმანი ფრანგულიდან პ. შალვა ვარდიძისა. საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა სავანისა, სტამბოლი, 1921, გვ. 20.

42 Erik Fischer, Melchior Lorck. Volume 4. The Constantinople Prospect. Copenhagen, Vandkunsten Publishers, 2009, გვ. 58.

43 ვგენი დალეჯიო დ’ალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში. თარგმანი ფრანგულიდან პ. შალვა ვარდიძისა. საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა სავანისა, სტამბოლი, 1921, გვ. 18.

44 ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ შუშანა ფუტკარაძის ნაშრომი „სტამბოლის ქართული სავანე“, თბ., 2012.

ბიბლიოგრაფია

1. ბატიაშვილი, ზურაბ, თურქეთის შეიარაღებული ძალები, თბ., 2000.

2. ბატიაშვილი, ზურაბ, სულეიმან I - სულთანი, რომელმაც ოსმალეთის იმპერია დიდების ზენიტში აიყვანა. ჟურნალი „ჩემი სამყარო“, #45, 2024.

3. დალეჯიო დ'ალესიო, ევგენი, ქართველები კონსტანტინეპოლში. თარგმანი ფრანგულიდან პ. შალვა ვარდიძისა, საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა სავანისა, სტამბოლი, 1921.

4. დუნდუა, თედო; სილაგაძე, ნინო, სომონ მეფე და ღვთისმშობელ-პამაკარისტოსის ტაძარი კონსტანტინოპოლში, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2004.

5. რევიშვილი, შოთა, ჰაპელი და საქართველო. ლიტერატურულ მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „ცისკარი“, N1, 1974.

6. რევიშვილი, შოთა, ქართველი მეომრის უძველესი გერმანული სურათი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. N3, 1975.

7. რევიშვილი, შოთა, გერმანულ-ქართული ეტიუდები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1977.

8. სვანიძე, მიხეილ, თურქეთის ისტორია (1299-2000). გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2007.

9. სორდია, გიორგი, ქართველთა ჩაცმულობა და ეთნოგრაფიული ტიპაჟები XVI-XIX საუკუნეების ევროპულ ბეჭდურ გამოცემებში. ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრის პუბლიკაცია, თბ., 2020.

10. ფუტკარაძე, შუშანა, სტამბოლის ქართული სავანე. გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2012.

11. ქასაბი, მურად, ოსმალეთის ქართველები (მთარგმნელები: გელა გუნიავა, ემინ შექერჯი), საქართველოსთან მეგობრობის ასოციაცია, სტამბოლი, 2012.

12. ჩლაიძე, ლია, სტამბოლი ლეგენდებსა და სინამდვილეში, თბ., 2024.

13. Büyük İstanbul Tarihi, Cilt 1. İstanbul'un Emperyal Dönüşümleri, Dünya Ölçeğinde İstanbul, Topografya ve Yerleşme. Editör: Coşkun Yılmaz, İstanbul, 2015.

14. Büyük İstanbul Tarihi, Cilt 3. Siyaset ve Yönetim, Demografi. Editör: Coşkun Yılmaz, İstanbul, 2015.

15. Büyük İstanbul Tarihi, Cilt 5. Din. Editör: Coşkun Yılmaz, İstanbul, 2015.

16. Bøgh Rasmussen, Mikael, Enemy Enticements: A Habsburg Artist in Suleiman's Capital City. CALIOPLE, Vol. 19, #1, 2014.

17. Cihad, Cihan, Türklerde Kuş Tüyünün Hâkimiyet ve Rütbe Alameti Olarak Kullanılması. Anadolu Kültürel Araştırmalar Dergisi Yayını, 2018.

18. Faroqhi, Suraiya, A Cultural History of the Ottomans – The Imperial Elite and its Artefacts. Tauris, 2016.

19. Faroqhi, Suraiya, Travel and Artisans in the Ottoman Empire – Employment and Mobility in the Early Modern Era. Tauris, 2016.

20. Fischer, Erik, Melchior Lorck. Volume 1. Biography and Primary Sources. Copenhagen, Vandkunsten Publishers, 2009.

21. Fischer, Erik, Melchior Lorck. Volume 2. The Turkish Publication, 1626 Edition. Copenhagen, Vandkunsten Publishers, 2009.

22. Fischer, Erik, Melchior Lorck. Volume 3. Catalogue Raisonne, Part One. Copenhagen, Vandkunsten Publishers, 2009.

23. Fischer, Erik, Melchior Lorck. Volume 4. The Constantinople Prospect. Copenhagen, Vandkunsten Publishers, 2009.

24. Hughes, Bettany, Istanbul – A Tale of Three Cities. Weidfeld & Nicolson, 2017.

25. Islamic Encyclopedia. Volume 6. TDV Islamic Research Center. Istanbul, 1992.

26. Kafescioğlu, Çiğdem, Constantinopolis / Istanbul: Cultural Encounter, Imperial Vision, and the Construction of the Ottoman Capital. The Pennsylvania State University Press, 2009.

27. Kuban, Doğan, Istanbul, An Urban History: Byzantion, Constantinopolis, Istanbul. Türkiye İş Bankasi Kültür Yayınları, 2010.

28. Kuban, Doğan, Ottoman Architecture. Antique Collectors' Club, 2010.

29. Melchior Lorck: Facts, Fiction, Interpretation. Editors: Mikael Bøgh Rasmussen and Hanne Kolind Poulsen. Copenhagen: SMK Verlag 2023.

30. Papadopoulou, Vasiliki, The Golden Horn Walls and its Gates in Melchior Lorichs's Panorama of Constantinople. Koç University Publication, 2007.

31. Westbrook, Nigel; Rainsbury Dark, Kenneth, Van Meeuwen, Rene, Constructing Melchior Lorck's Panorama of Constantinople. Journal of the Society of Architectural Historians 69, no. 1 (March 2010).